ეკონომიკა და ფინანსები

ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფები (DAGs) ევროკავშირის სავაჭრო შეთანხმებებში

ადგილზე დგომა თუ აღმასვლა?

დებორა მარტენსი, დიანა პოტიომკინა და იან ორბი

მარტი 2021

→ შექმნილია ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფები (DAGs), რომლებიც რეგულარულად ატარებენ შეხვედრებს ევროკავშირის დონეზე და მისი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების უმეტეს ნაწილში.

→ უნდა აღნიშნოს, რომ ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების (DAGs) მუშაობას აფერხებს ინფორმაციის არასაკმარისი გაზიარება და ინტერესისა და ურთიერთქმედების ნაკლებობა მთავრობებისა თუ ევროკომისიის მხრიდან.

→ მთავრობებისა და ევროკომისიის შეზღუდული ანგარიშვალდებულება ასევე აფერხებს ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების მუშაობის პოტენციურ ბერკეტებს.

→ აღსრულების ინსტრუმენტების ნაკლებობის გამო, ძალიან დაბალია DAG-ების გავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე.

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

ეკონომიკა და ფინანსები

ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფები (DAGs) ევროკავშირის სავაჭრო შეთანხმებებში

ადგილზე დგომა თუ აღმასვლა?

GHENT UNIVERSITY

სარჩევი

1 **მოკლე მიმოხილვა** 2

2 **პოლიტიკის რეკომენდაციები** 5

ინსტრუმენტული მიზანი: როგორ ჩაატარონ შეხვედრები უკეთ? 7
ინფორმაციული მიზანი: როგორ გახდეს მათი საუბრები უკეთესი? 8
მონიტორინგის მიზანი: როგორ განახორციელონ უკეთესი კონტროლი? 11
მიზანი - პოლიტიკაზე გავლენა: როგორ მოახდინონ უკეთესი გავლენა? 12

3 **დანართი A** 14

სოციოლოგიური კვლევა ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების შესახებ ევროკავშირი-საქართველოს ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეში

ზოგადი მიმოხილვა 14
თავისებურება: სამოქალაქო საზოგადოების მექანიზმების გადაფარვა 15
ევროკავშირისა და ქართული DAG–ების ჩართულობის კიბე 17
დასკვნა 19

1

მოკლე მიმოხილვა

მას შემდეგ, რაც 2011 წელს ევროკავშირსა და კორეას შორის გაფორმდა სავაჭრო შეთანხმება, ყველა თავი ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების (TSD) შესახებ წინამდებარე თავში აღნიშნული ვალდებულებების მონიტორინგისთვის აყალიბებს სამოქალაქო საზოგადოების მექანიზმებს: თითოეული მხარის ადგილობრივ საკონსულტაციო ჯგუფს (DAG) და ტრანსნაციონალური სამოქალაქო საზოგადოების ყოველწლიურ შეხვედრას. პირველი წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ დახურულ მექანიზმს, მეორე კი წევრობას არ ეფუძნება და, შესაბამისად, უფრო ღია და ნაკლებად სტრუქტურირებულია, ვიდრე ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფები (DAGs).

წინამდებარე ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია აღნიშნულ ჯგუფებზე, რომლებიც წარმოადგენენ სამოქალაქო საზოგადოების მუდმივ, ყველაზე ინსტიტუციონალიზებულ ორგანოებს ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების (TSD) თავების მიხედვით. აღნიშნული კვლევის მიზანია ჩაატაროს ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების ყოვლისმომცველი შეფასება, გამოავლინოს მათი ძირითადი გამოწვევები, განასხვაოს საწყისი პრობლემები სტრუქტურული საკითხებისგან და დასახოს მათი გადაჭრის გზები. თავდაპირველი მონაცემების შეგროვება განხორციელდა გამოკითხვის შედეგად, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფის წევრებმა, რომელთაგან 50 ევროკავშირშია, 74 კი არ არის ევროკავშირში. ასევე ჩატარდა 18 ინტერვიუ ევროკავშირისა და არა-ევროკავშირის ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების (DAGs) წევრებთან.

ანალიტიკური ჩარჩო

ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების (DAGs) შეფასება არც ისე მარტივია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. მთავარი პრობლემა ის არის, რომ არ გვაქვს მკაფიო კრიტერიუმები. ამიტომ ჩვენ შევქმენით ანალიტიკური ჩარჩო, რომლის გამოყენებაც შეიძლება პრაგმატულად, აღნიშნული ჯგუფების შესაფასებლად. ეს „ინკლუზიურობის კიბე“ აერთიანებს ორ მიმართულებას. პირველი მიუთითებს იმაზე, რომ ინკლუზიურობა არის ეტაპობრივი საკითხი, მეორე კი მოიცავს რამდენიმე სახის მონაწილეობას. იმისდა მიხედვით, თუ რა ითვლება სამოქალაქო საზოგადოების შეხვედრების მთავარ მიზნად, შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ტიპის ინკლუზიურობა. ამის შესაბამისად, შესაძლებელია კიბის ოთხ საფეხურად დაყოფა. ესენია: ინსტრუმენტული დანიშნულება, ინფორმაციის გაზიარება, მონიტორინგი და პოლიტიკაზე გავლენა.

სურ. 1 **ინკლუზიურობის კიბე**



შეუძლიათ მათ შეხვედრების ჩატარება?

- დიახ, რეალურად, ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების (DAGs) უმეტესობას შეუძლია შეხვედრების ჩატარება.
- ამის მიუხედავად, მაინც არსებობს გაუმჯობესების საჭიროება, განსაკუთრებით ეს ეხება ევროკავშირის არაწევრ ადგილობრივ საკონსულტაციო ჯგუფებს. ძირითადი ორგანიზაციული საკითხებია: შეხვედრების სიხშირე და დროული შეტყობინების გაგზავნა მათ შესახებ, სამდივნოს მხარდაჭერა და დაფინანსება.
- უფრო მეტიც, ლოგისტიკური საკითხები კვლავ იკავებს შეხვედრების დიდ ნაწილს შინაარსობრივი დისკუსიების ხარჯზე.
- ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფები არ ითვლებიან მხოლოდ სავაჭრო ხელშეკრულებების ლეგიტიმაციის იარაღად. თუმცა, მათი მრავალი სისუსტის გათვალისწინებით, კვლავ არსებობს რისკი, რომ ისინი შეიძლება გადაიქცნენ მექანიზმებად, რომლებიც ემსახურება თავისუფალი ვაჭრობის ლეგიტიმაციას.

ცხრილი 1 **„ინკლუზიურობის კიბის“ შეჯამება**

დონე	მიზანი	როლი	შეკითხვა	კრიტერიუმი
საწყისი	ინსტრუმენტული	„ლეღვის ფოთოლი“, ანუ დამალვა	შეუძლიათ მათ შეხვედრების ჩატარება?	- ლოგისტიკა - ლეგიტიმაცია
დაბალი	ინფორმაციის გაზიარება	ფორუმი	შეუძლიათ მათ ისაუბრონ?	- ჰორიზონტალური და ვერტიკალური გაცვლა - დამოუკიდებელი, წარმომადგენლობითი და დაბალანსებული - ნამდვილი დიალოგი
საშუალო	მონიტორინგი	მაკონტროლებელი	შეუძლიათ მათ გააკონტროლონ?	- შეფასების შესაძლებლობა - ხელშემკვრელი მხარეების ანგარიშვალდებულება
მაღალი	პოლიტიკაზე გავლენა	პოლიტიკის შემქმნელი	შეუძლიათ მათ გავლენა მოახდინონ?	- გადაწყვეტილებებში მონაწილეობა - დავების წარმოების მექანიზმის გააქტიურება

შეუძლიათ მათ ისაუბრონ?

– საერთო ჯამში, შეიმჩნევა დიალოგისთვის აუცილებელი ინგრედიენტების არსებობა.
– დამყარდა ინფორმაციის ჰორიზონტალური გაცვლა სამოქალაქო საზოგადოებასთან. ამასთან, საჭიროა უფრო რეალური დიალოგი და უკეთ განსაზღვრული სამუშაო პროგრამის განხორციელება. არსებობს საკმაო დაძაბულობა ბიზნესისა და არასამეწარმეო სექტორის წარმომადგენლებს შორის ძირითადად იმ ადგილობრივ საკონსულტაციო ჯგუფებში (DAGs), რომლებიც ევროკავშირის ქვეყნებში არ ფუნქციონირებენ.
– ინფორმაციის ვერტიკალური გაცვლა სამოქალაქო საზოგადოებასა და მთავრობებს შორის ნაკლებად დადებით მოვლენად არის შეფასებული. მთავრობები არ იზიარებენ საკმარის ინფორმაციას სავაჭრო ხელშეკრულებების განხორციელების შესახებ. ასევე არსებობს არასაკმარისი ურთიერთქმედება მთავრობასა და ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფებს (DAGs) შორის. რესპონდენტები იმ ჯგუფებიდან, რომლებიც ევროკავშირში არ ფუნქციონირებენ, უფრო ხმამაღლა საუბრობენ ამ საკითხებზე, ვიდრე მათი კოლეგები ევროკავშირიდან.
– აღნიშნული სავაჭრო ხელშეკრულების გავლენა მდგრად განვითარებაზე განიხილება ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების (DAGs) შეხვედრების დროს. შრომის საკითხები, როგორც წესი, მწვავედ დგას დღის წესრიგში. განსაკუთრებით ევროკავშირის ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფები ხშირად ეხებიან პარტნიორ ქვეყნებში შრომითი უფლებების დაცვას.

ევროკომისიას/ადგილობრივ მთავრობასა და DAG-ს შორის საკმარისი ურთიერთკავშირია



სურ. 2

შეუძლიათ მათ გააკონტროლონ?

- მონიტორინგი რესპონდენტთა ყველაზე დიდ მისწრაფებას წარმოადგენს, რაც ასახავს ევროკომისიის დისკურსს. თუმცა ის ჯერ სრულად არ განხორციელებულა.
- ეს შეუსაბამობა პირველ რიგში განპირობებულია იმით, რომ ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების (DAGs) წევრებს არასაკმარისი რესურსები აქვთ კვლევის ჩასატარებლად.
- მეორე, მთავრობების შეზღუდული ანგარიშვალდებულება ხელს უშლის ამ ჯგუფებს სადამკვირვებლო როლის შესრულებაში. ადგილობრივ საკონსულტაციო ჯგუფებსა და მათ მთავრობებს შორის არ არის უკუკავშირი. მთავრობები საკმარისად არ ადევნებენ თვალყურს ამ ჯგუფების საქმიანობებს.
- ანგარიშვალდებულების ეს დეფიციტი ტრანსნაციონალურ დონეზეც შეიმჩნევა. ამის მიუხედავად, ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფები (DAGs), რომლებიც ევროკავშირში არ ფუნქციონირებენ, აფასებენ ევროკომისიისა და ევროკავშირის DAG-ების მიერ ამოქმედებულ პოტენციურ ბერკეტებს.

შეუძლიათ მათ გავლენა მოახდინონ?

- ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფები (DAGs) გავლენა ძალზე შეზღუდულია. ეს მათი წევრების უკმაყოფილების ძირითადი წყაროა.
- მცირე გავლენა ენიჭება ამ ჯგუფების წევრებს, რადგან ისინი აქტიურად არ მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში და მთავრობები არ მოქმედებენ მათი რეკომენდაციებით.
- გარდა ამისა, ეს გავლენა შეზღუდულია იმ ფაქტითაც, რომ არ არის დაცული ხელშეკრულების თავები ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების შესახებ და DAG-ებს არ შეუძლიათ დავების უშუალოდ წამოწყება.
- მოსაზრებები მდგრადი განვითარების ვალდებულებების შესრულების შესახებ პოლარიზებულია.



სურ. 3

დასკვნები

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფი ჯერ კიდევ აწყდება ორგანიზაციულ პრობლემებს, ძირითადი გამოწვევები იწყება მეორე ეტაპიდან. ამის მიზეზი ისაა, რომ არ არის ნამდვილი დიალოგი ამ ჯგუფების წევრებს შორის, ისევე, როგორც ჯგუფებსა და მთავრობებს შორის. ამის კულმინაციაა ანგარიშვალდებულების დეფიციტი, რომელიც ძირს უთხრის სამოქალაქო საზოგადოების ძალისხმევას განახორციელოს ადეკვატური მონიტორინგი. ეს კი, თავის მხრივ, იწვევს პოლიტიკის ძალიან შეზღუდულ გავლენას.

ამ დინამიკის შედეგად, ადგილობრივმა საკონსულტაციო ჯგუფებმა (DAGs) დღემდე მცირე პოლიტიკური აქტუალობა მოიპოვეს, რაც მათი წევრების იმედგაცრუების წყაროა. ამიტომ ყველა მონაწილე მხარისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ განხორციელდეს ზომები ამ დაბრკოლებების გადასალახად. აუცილებელია პრაქტიკული ან ორგანიზაციული შესწორებები, თუმცა ისინი თავისთავად არასაკმარისია. განსაკუთრებით საჭიროა მენტალიტეტის შეცვლა იმ პირებში, ვინც პოლიტიკას ქმნიან, რათა მათ ეს ჯგუფები და მათი მუშაობა უფრო სერიოზულად აღიქვან და გაზარდონ მათი პოლიტიკური აქტუალობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს საშიშროება, რომ DAG-ები მოექცნენ უარყოფითი უკუკავშირის მარყუჟში (თუ უკვე ასე არ არის), რომლის შედეგადაც პროგრესი არ მიიღწევა. ამან შეიძლება გამოიწვიოს სამოქალაქო საზოგადოების ინტერესისა და ერთგულების გაქრობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დიდი ძალისხმევა იდება კიბეზე ასვლაში, მაგრამ თუ მონაწილეები ჩათვლიან, რომ შეუძლებელია სვლის გაგრძელება, ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფები დადგებიან მნიშვნელობის დაკარგვის რისკის წინაშე და კიბე შეიძლება გადმოვარდეს. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მწვავე კრიტიკას, რომელიც უკვე ისმის ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკის მისამართით.

2

პოლიტიკის რეკომენდაციები

ამ ნაწილში ჩვენ ჩამოვაყალიბებთ რეკომენდაციებს ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების (DAGs) წარმატების გაზრდასთან დაკავშირებით. ჩვენ ვიცავთ იმ სტრუქტურას, რომელიც წარმოდგენილია ანგარიშში, კერძოდ, „ინკლუზიურობის კიბის“ სხვადასხვა საფეხურს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია ქვედა საფეხურებზე ასვლა, სანამ კიბეზე ზემოთ ავალთ. უფრო კონკრეტულად, ეს ნიშნავს, რომ ამ ჯგუფებმა უნდა იმუშაონ სწორად, სანამ მიაღწევენ ინფორმაციის სასურველ გაზიარებას, რაც თავის მხრივ აუცილებელია მათი მაკონტროლებელი როლისთვის. ანალოგიურად, კარგი მონიტორინგი წარმოადგენს პოლიტიკის გავლენის წინაპირობას.

როგორც ამ ანგარიშში წარმოდგენილმა კვლევამ აჩვენა, ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების (DAGs) წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ ჯგუფები მიზნებს შორის ყველაზე მეტად მონიტორინგის განხორციელებას ესწრაფვიან. ამიტომ ყველა მონაწილე აქტორისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ კონკრეტული ნაბიჯის მისაღწევად ზომების მიღებას, განსაკუთრებით მთავრობის ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს საშიშროება, რომ DAG-ები მოექცნენ უარყოფითი უკუკავშირის მარყუჟში (თუ უკვე ასე არ არის), რომლის შედეგადაც პროგრესი არ მიიღწევა. ამან შეიძლება გამოიწვიოს სამოქალაქო საზოგადოების ინტერესისა და ერთგულების გაქრობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დიდი ძალისხმევა იდება კიბეზე ასვლაში, მაგრამ თუ მონაწილეები ჩათვლიან, რომ შეუძლებელია სვლის გაგრძელება, ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფები დადგებიან მნიშვნელობის დაკარგვის რისკის წინაშე და კიბე შეიძლება გადმოვარდეს.

ევროკომისიის მიერ ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების ორგანიზაციული ასპექტის გაუმჯობესების ბოლოდროინდელი ინიციატივები მისასალმებელია, რადგან ამ მექანიზმების ფუნქციონირების სწორად წარმართვა ძალიან მნიშვნელოვანია. ამასთან, პრაქტიკული შესწორებები აუცილებელია, თუმცა ისინი თავისთავად არასაკმარისია. განსაკუთრებით საჭიროა მენტალიტეტის შეცვლა იმ პირებში, ვინც პოლიტიკას ქმნიან, რათა მათ ეს ჯგუფები და მათი მუშაობა უფრო სერიოზულად აღიქვან და გაზარდონ მათი პოლიტიკური აქტუალობა.

ცხრილი 2

რეკომენდაციების შეჯამება

კიბის საფეხური	რეკომენდაცია	ეხება
ინსტრუმენტული მიზანი	რეგულარული შეხვედრების ჩატარების უზრუნველყოფა და DAG-ისა და ტრანსნაციონალური შეხვედრების თარიღების წინასწარ განსაზღვრა, რათა მოხდეს მომზადების ორგანიზება	DAG-ის წევრები, სამდივნოები და მთავრობები*
	სამდივნოს მონაწილეობისა და მხარდაჭერისთვის საკმარისი რესურსის უზრუნველყოფა	DAG-ის წევრები და მთავრობები
	სხვა ორგანიზაციული და ლოგისტიკური საკითხების პროაქტიული გადაჭრა	DAG-ის წევრები და მთავრობები

* სიტყვაში „მთავრობები“ ვგულისხმობთ ყველა მხარის მთავრობას, კერძოდ, ევროკომისიას და სავაჭრო პარტნიორების ეროვნულ მთავრობებს. იგივე ლოგიკა მოქმედებს ტერმინთან - „პარლამენტები“.

←

ინფორმაციის გაზიარების მიზანი	DAG-ის დამოუკიდებელი, წარმომადგენლობითი და დაბალანსებული წევრობის უზრუნველყოფა	DAG-ის წევრები და მთავრობები
	DAG-ების შიგნით ნამდვილი დიალოგის ხელშეწყობა	DAG-ის წევრები
	მკაფიო სამუშაო პროგრამის ჩამოყალიბება	DAG-ის წევრები
	ინსტიტუციონალიზაცია და ინვესტიცია DAG-ებს შორის არსებულ ურთიერთობებში	DAG-ის წევრები და მთავრობები
	თემატური ტრანსნაციონალური ალიანსების შექმნა და შენარჩუნება	DAG-ის წევრები
	ერთობლივი განცხადებების შემუშავების პროცესის გაუმჯობესება	DAG-ის წევრები (და მთავრობები)
	DAG-ებსა და მთავრობებს შორის მეტი, უკეთესი ურთიერთქმედების დამყარება	მთავრობები და მთავრობათაშორისი საბჭო
	DAG-ებსა და პარლამენტებს შორის ურთიერთობების ინსტიტუციონალიზაცია	DAG-ის წევრები და პარლამენტები
მონიტორინგის მიზანი	კვლევის ჩატარებისთვის საჭირო სტრუქტურული რესურსების კვლევის ჩატარებისთვის საჭირო სტრუქტურული რესურსების უზრუნველყოფა	DAG-ის წევრები და მთავრობები
	მთავრობასთან უკუკავშირის პროცედურების დადგენა	მთავრობები და მთავრობათაშორისი საბჭო
	DAG-ების საქმიანობისთვის თვალყურის მიდევნება	მთავრობები და მთავრობათაშორისი საბჭო
მიზანი - პოლიტიკაზე გავლენა	ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების (TSD) შესახებ არსებული თავის მაქსიმალური აღსრულება	ევროკომისია და ევროკავშირის პარლამენტი
	DAG-ების გავლენის შესახებ მოლოდინების დაზუსტება	DAG-ის წევრები და მთავრობები
	ჩარჩოდან გამოსვლა	DAG-ის წევრები და მთავრობები

ინსტრუმენტული მიზანი: როგორ შეუძლიათ მათ უკეთესად ჩაატარონ შეხვედრები?

რეგულარული შეხვედრების გამართვის უზრუნველყოფა და შეხვედრების თარიღების წინასწარ განსაზღვრა

ხშირად ისმის კრიტიკა, რომ ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფები (DAGs) საკმარისი სიხშირით არ ატარებენ შეხვედრებს, რაც აუცილებელია მათი საქმიანობის არსებითი და დროული განვითარებისთვის. უკმაყოფილებას ისიც იწვევს, რომ შეხვედრების თარიღებზე გადაწყვეტილებებს ძალიან გვიან იღებენ, რაც ხელს უშლის ჯგუფების წევრთა ეფექტურ მონაწილეობას.

ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფის თავმჯდომარემ და სამდივნომ, DAG-ის სხვა წევრებთან შეთანხმებით, ხშირად უნდა დაგეგმონ შეხვედრები (შეიძლება კვარტალში ან თვეში ერთხელ, წევრების სურვილის მიხედვით), დაადგინონ თარიღები მინიმუმ ერთი თვით ადრე და უზრუნველყონ ვირტუალური დასწრება. ტრანსნაციონალური შეხვედრების ორგანიზება კიდევ უფრო რთულია, რადგან დღის წესრიგში საჭიროა უფრო მეტი საკითხის გათვალისწინება. შეხვედრები DAG-ებს ან სამოქალაქო საზოგადოებასა და მთავრობათაშორის საბჭოს შორის დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის შეიკრიბება ეს უკანასკნელი. შესაბამისად, მთავრობებს შეუძლიათ დროის წინასწარ მითითება, მაგალითად, მინიმუმ სამი თვით ადრე, რათა მოხდეს სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირება და მონაწილეობისთვის მომზადება. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ხშირად შეხვედრები ყოველწლიურად ერთსა და იმავე პერიოდში ტარდება. ამრიგად, შესაძლებელი უნდა იყოს, რომ მთავრობის წარმომადგენლებმა თარიღი ადრევე დაადგინონ, რითაც გამოხატავენ ერთგულებას, ინტერესსა და პატივისცემას DAG-ის წევრების მიმართ. მუხტის შესანარჩუნებლად, DAG-ის წევრებმა ყოველწლიურ შეხვედრებს შორის ასევე უნდა ჩაატარონ დამატებითი (ვირტუალური) შეხვედრები ადგილობრივ საკონსულტაციო ჯგუფებს შორის.

სამდივნოს მონაწილეობისა და მხარდაჭერისთვის საკმარისი რესურსის უზრუნველყოფა

ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების (DAGs) წევრებს არ აქვთ საკმარისი რესურსი, რათა დაასაქმონ პერსონალი, რომელიც შეხვედრებს მოამზადებს და მათ დაესწრება. ასევე მცირეა DAG-ის წევრების მგზავრობის ხარჯებისთვის გამოყოფილი რესურსები. ეს კი წარმოადგენს დაბრკოლებას ჯგუფების უმეტესობის ფუნქციონირებისთვის. გარდა ამისა, უმრავლესობა იმ ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფებისა, რომლებიც არ შედიან ევროკავშირში, სამდივნოსგან ვერ იღებენ მხარდაჭერას როგორც წინასწარი მუშაობისას, ისე ორგანიზაციული კუთხით.

ამ საკითხების გადაჭრა უნდა მოხდეს ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების ფუნქციონირებისთვის გრძელვადიანი დაფინანსების გამოყოფით. ეს უზრუნველყოფილი უნდა იყოს ევროკავშირის სავაჭრო ხელშეკრულების თითოეული ხელმომწერის მიერ, რითაც ისინი აიღებენ ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფის შექმნის ვალდებულებას. აღნიშნული დაფინანსება შეიძლება გამოიყოს სავაჭრო ხელშეკრულებით მიღებული ეკონომიკური სარგებლიდან. თუ ამ დაფინანსების გამოყოფა შეუძლებელია, გათვალისწინებული უნდა იქნეს ევროკავშირის პარტნიორი ქვეყნის დაფინანსების სქემა. უკიდურეს შემთხვევაში კი (როგორც რეალობა გვიჩვენებს), გაიცემა მხოლოდ ევროკავშირის დაფინანსება. ამჟამინდელი სამწლიანი „პარტნიორობის ინსტრუმენტი“ მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის გაზრდას, როგორც ეს აღნიშნულია ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების (TSD) თავებში. შესაბამისად, ამ ინსტრუმენტით მიღებული გამოცდილება შეიძლება სასარგებლო იყოს იმის დასადგენად, თუ რამხელა დაფინანსებაა საჭირო და როგორი უნდა იყოს სამდივნოს ამოცანები. ამგვარად, კარგი იქნება დაფინანსების ამ ინსტრუმენტის დეტალური შეფასება, DAG-ის წევრების შეფასების ჩათვლით. ნებისმიერ შემთხვევაში, დაფინანსება უნდა გასცდეს ამ კონკრეტულ ინსტრუმენტს და გახდეს იმ სამართლებრივ დებულებების ნაწილი, რომლებიც აყალიბებს ადგილობრივ საკონსულტაციო ჯგუფებს.

სამდივნოების ჩამოყალიბება შესაძლებელია სხვადასხვა გზით, თითოეული ქვეყნის ადგილობრივი კონტექსტიდან და არსებული ინსტიტუციებიდან გამომდინარე. ეს შეიძლება განხორციელდეს ოფიციალური ინსტიტუტის (მაგალითად, „ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი“ (EESC)) ან სახელმწიფო ორგანოს (მაგალითად, ეკონომიკის, გარემოს დაცვის ან შრომის სამინისტროს ფარგლებში) მიერ. თუ გარანტირებული იქნება DAG-ის დამოუკიდებლობა, სამდივნო შეიძლება ჩამოაყალიბოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ, კერძო, გარე კონსულტანტმა ან ამ მიზნით შექმნილმა ორგანიზაციამ.

სხვა ორგანიზაციული და ლოგისტიკური საკითხების პროაქტიული გადაჭრა

ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების (განსაკუთრებით არა-ევროკავშირის) ფუნქციონირების საკითხების გათვალისწინებით, აუცილებელია გავიმეოროთ, რომ მნიშვნელოვანია ფუნდამენტის სწორად განვითარება, რადგან ის გავლენას ახდენს კიბის სხვა საფეხურებზე და, შესაბამისად, DAG-ების მთლიან წარმატებაზე.

უნდა მოხდეს შეხვედრების ორგანიზებასთან და წევრების დასწრებასთან დაკავშირებული პრაქტიკული დაბრკოლებების დროული იდენტიფიცირება და მოგვარება. მას შემდეგ, რაც ევროკავშირის სავაჭრო ხელშეკრულებებში ჩაიწერა ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების შესახებ, ბევრი რამ გაკეთდა ევროკავშირში და მის ფარგლებს გარეთ. DAG-ების სათანადო ორგანიზებისა და კარგად ფუნქციონირების მიზნით, შესაძლებელია სხვა სავაჭრო ხელშეკრულებებიდან გამოცდილებისა და გაკვეთილების გაზიარება. ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების იმ წევრების რაოდენობა, რომლებიც უკმაყოფილონი არიან მათი DAG-ის ფუნქციონირებით, პროცენტულად მაღალია. ამიტომ მიზანშეწონილია ყოველწლიურად შეფასდეს, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს ამ მექანიზმების პრაქტიკული მხარე.

ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების წევრები უნდა იყვნენ თვითკრიტიკულები და განსაზღვრონ, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს მათი DAG-ის ფუნქციონირება. პარალელურად, ადგილობრივი მთავრობა პარტნიორობას უნდა უწევდეს ჯგუფს წარმატების მიღწევაში, უნდა შექმნას და ხელი შეუწყოს ისეთ გარემოს, რომელიც შესაძლებელს გახდის DAG-ის განვითარებას. თუ ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფის ხმა ძალიან სუსტად ისმის და მთავრობა უგულებელყოფს ან აფერხებს მის პოტენციალს, სხვა ჯგუფი, რომელიც ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენს და მისი მთავრობა ვალდებულნი არიან დასვან საკითხი და ზეწოლის გზით განახორციელონ ცვლილებები.

ინფორმაციული მიზანი: როგორ უნდა გახდეს მათი საუბრები უკეთესი?

DAG-ის დამოუკიდებელი, წარმომადგენლობითი და დაბალანსებული წევრობის უზრუნველყოფა

ცხადია, ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების შინაარსობრივი განხილვებისთვის მნიშვნელოვანია, თუ ვინ არიან DAG-ის წევრები. ძირითადი მოთხოვნებია, რომ ისინი მთავრობისგან დამოუკიდებლები იყვნენ და წარმოადგენდნენ შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს. გარდა ამისა, ისინი დაბალანსებულად უნდა წარმოადგენდნენ თავიანთ მხარდამჭერებს DAG-ში.

თუ საჭიროა „ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის“ (EESC) სამმხრივი მოდელის მორგება სავაჭრო პარტნიორის შიდა კონტექსტზე, ანუ ბიზნესის, შრომის და გარემოსდაცვითი და სხვა ორგანიზაციების მიღმა გასვლა, ამ თემაზე უნდა გაიმართოს ღია დებატები ადგილობრივ საკონსულტაციო ჯგუფებს, ასევე DAG-ებსა და მთავრობათაშორის საბჭოს შორის. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ცნობიერების ამაღლება და DAG-ების ხილვადობის გაზრდა სამოქალაქო საზოგადოების შესაბამის ორგანიზაციებში. ეს შეიძლება განხორციელდეს, მაგალითად, ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფის შედეგების ფართოდ გავრცელებით, ეროვნულ დონეზე ღია დებატების ჩატარებით და პრესკონფერენციების ორგანიზებით. უფრო მეტიც, განცხადების შეტანის პროცედურები უნდა იყოს მარტივი, გამჭვირვალე და მიუკერძოებელი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ჯგუფები ადვილად ხელმისაწვდომები უნდა იყვნენ ყველა ორგანიზაციისთვის, რომელსაც შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს მათი მიზნების მიღწევაში. ევროკავშირმა უნდა განახორციელოს კომუნიკაცია და დასაქმება ისე, რომ გასცდეს „ვაჭრობის გენერალური დირექტორატის“ სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის ამჟამინდელ მონაცემთა ბაზას. უნდა ჩატარდეს თითოეული ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფის წევრობის მონიტორინგი და, საჭიროების შემთხვევაში, განხილვაც. ამიტომ აუცილებელია, რომ მთავრობებმა შეინარჩუნონ გამჭვირვალობა ადგილობრივი ჯგუფების წევრების მიმართ.

მთავრობებმა უნდა შექმნან ხელსაყრელი გარემო და განაცხადის შეტანის ხელმისაწვდომი და გამჭვირვალე პროცედურები. მთავრობის ინტერესები არასოდეს არ უნდა წარმოადგენდეს DAG-ის წევრობის კრიტერიუმებს. სამოქალაქო საზოგადოება მნიშვნელოვან როლს ასრულებს DAG-ის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და კოლეგების ინფორმირებაში. ორივე სავაჭრო პარტნიორის სამოქალაქო საზოგადოება უნდა უწევდეს მონიტორინგს წევრობას, რათა ისინი ინფორმირებულნი იყვნენ აღნიშნულ ასპექტებთან დაკავშირებით წარმოშობილ საკითხებზე.

DAG-ების შიგნით ნამდვილი დიალოგის ხელშეწყობა

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად არსებობს ურთიერთქმედება ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების წევრებს შორის და ხდება ინფორმაციის გაზიარება, ეს უნდა გადაიზარდოს ნამდვილ დიალოგში, რათა გაუმჯობესდეს წევრებს შორის ურთიერთობები, DAG-ების მუშაობის მეთოდი, დისკუსიების შინაარსი და, შესაბამისად, საქმიანობის ხარისხიც.

ნამდვილ დიალოგში ვგულისხმობთ, რომ წევრები რეალურად უსმენენ ერთმანეთს, ხედავენ კავშირებს პოზიციებს შორის, თავს არიდებენ მხოლოდ ძირითადი ინტერესების წარმოჩენასა და ძალაუფლების უთანასწორობას. იმისათვის, რომ ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფები (DAGs) გახდნენ სათანადო სათათბირო ფორუმები, უნდა მოხდეს წევრებს შორის ძალაუფლების უთანასწორობის აღიარება და მოგვარება, საჭიროების შემთხვევაში, მიუკერძოებელი მოდერატორის მიერ. უნდა მოხდეს ყველა მონაწილისთვის საკმარისი დროის გამოყოფა და გადაწყვეტილების მიღების ადეკვატური პროცედურების შემუშავება.

პირველ რიგში ეს უნდა გააკეთონ თვითონ ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების წევრებმა. თუ პარტნიორი ჯგუფი ან მთავრობა DAG-ში პრობლემურ დინამიკას ამჩნევს, მათ აქვთ ვალდებულება განაცხადონ ამის შესახებ და დაჟინებით მოითხოვონ საკითხის გამოსწორება როგორც სამთავრობო, ისე სამოქალაქო საზოგადოების დონეზე.

მკაფიო სამუშაო პროგრამის ჩამოყალიბება

კარგად ჩამოყალიბებული სამუშაო პროგრამა ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების წევრების სურვილების სიის თავშია მოქცეული. მართლაც, ბევრმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ არ არსებობს მკაფიო სამუშაო პროგრამა ან კონკრეტული მიზნები. ზოგიერთ შემთხვევაში, რესპონდენტებმა აღიარეს, რომ მათ DAG-ს არ აქვს რეალური შიდა დინამიკა და მხოლოდ ყოველწლიური ტრანსნაციონალური შეხვედრების დროს აქტიურობს.

ნათლად შემუშავებული სამუშაო პროგრამის არარსებობა ხშირად გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ რესურსები არსებითი მონაწილეობის მისაღებად არასაკმარისია, ხოლო DAG-ის წევრებს შორის ცუდი ურთიერთობებია. ამიტომ მნიშვნელოვანია წინა რეკომენდაციების გათვალისწინება. თუ ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფები გაიზიარებენ სამთავრობო საბჭოს სამუშაო პროგრამას, მათ შეუძლიათ ეს დოკუმენტი აქციონ ამოსავალ წერტილად და გადაწყვიტონ რომელ საკითხებზე იმუშაონ. წინაღმდეგ შემთხვევაში, DAG-ის წევრებს შეუძლიათ პროაქტიულად შეიმუშაონ საკუთარი დღის წესრიგი, დასახონ როგორც მოკლე, ისე გრძელვადიანი მიზნები და შესაბამისად იმოქმედონ მათ მისაღწევად.

ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფის წევრები ამაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, რადგან მათი პასუხისმგებლობაა იყვნენ ერთგულები და კონსტრუქციულები, იპოვონ საერთო საფუძველი და წინ წავიდნენ. მთავრობებს შეუძლიათ მათი დახმარება იმით, რომ შეინარჩუნონ გამჭვირვალობა მათი პროგრამების მიმართ, რაც DAG-ების მუშაობას უფრო პოლიტიკურად აქტუალურს გახდის.

ინსტიტუციონალიზაცია და ინვესტიცია DAG-ებს შორის არსებულ ურთიერთობებში

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილი კვლევა აჩვენებს, თუ რამდენად სასარგებლო შეიძლება იყოს ადგილობრივ საკონსულტაციო ჯგუფებს შორის კარგი ურთიერთობები, რომ გაძლიერდეს სამოქალაქო საზოგადოება და გაიზარდოს შესაბამისი მექანიზმების გავლენა პოლიტიკაზე. ამიტომ მნიშვნელოვანია სხვადასხვა სავაჭრო პარტნიორებში სამოქალაქო საზოგადოებებს შორის კავშირების დამყარება და უკვე არსებული კონტაქტის გაძლიერება. უფრო მეტიც, ყველა მხარის სამოქალაქო საზოგადოება ყურადღებით უნდა დააკვირდეს იმ დინამიკას, რომელიც ძირს უთხრის DAG-ების ლეგიტიმურობას. ვგულისხმობთ გამორიცხულ ან გაჩუმებულ ხმებს.

ადგილობრივ საკონსულტაციო ჯგუფებს შორის ურთიერთობების დამყარება შესაძლებელია რამდენიმე გზით. პირველ რიგში, იმისდა მიუხედავად, რომ ისინი დე ფაქტო ხვდებოდნენ ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების (TSD) თავის დანერგვის ყოველწლიური შეხვედრების დროს, უკეთესი იქნება, რომ ასეთი შეხვედრები ან მექანიზმები მითითებული იყოს ხელშეკრულების დებულებებში. სამომავლო სავაჭრო შეთანხმებებმა შეიძლება უფრო მეტი ასეთი შეხვედრებიც კი გამოიწვიოს, მაგალითად, წელიწადში მინიმუმ ორჯერ. მეორე, DAG-ის წევრებმა აქტიური კავშირი უნდა დაამყარონ თავიანთ კოლეგებთან. ამით უზრუნველყოფილი იქნება ყოველწლიური შეხვედრების უწყვეტობა და ისინი არ გადაიქცევიან იზოლირებულ, ერთჯერად ღონისძიებებად. ვირტუალურმა შეხვედრებმა ან ერთობლივმა მუშაობამ შეიძლება გაზარდოს ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების ურთიერთობები. გარდა ამისა, მათი ინტერესი ერთმანეთის მიმართ და მათი წევრების ერთგულება ზრდის მონაწილეების მოტივაციასა და ამ ჯგუფების შესაბამისობას. მესამე, DAG-ის წევრებსა და მათ მთავრობებს ევალებათ ტრანსნაციონალური შეხვედრების მომზადება და ორგანიზება არსებული ძალაუფლების ასიმეტრიის გათვალისწინებით. უნდა მოხდეს ამ ასიმეტრიის აღიარება და ბოლომდე განეიტრალება, რათა შესაძლებელი გახდეს ნამდვილი დიალოგი.

ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების წევრები აქტიურად უნდა დაუკავშირდნენ ერთმანეთს და ყურადღებით იყვნენ იმ დინამიკასთან, რომელიც გავლენას ახდენს ამ მექანიზმების პოტენციალზე. მთავრობების როლიც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მათ უნდა შექმნან ხელსაყრელი გარემო, მაგალითად, ჯგუფებს შორის (ან ამ ჯგუფებთან) ოფიციალური შეხვედრის უზრუნველყოფის სახით ან შეხვედრებისთვის ინფრასტრუქტურის შექმნით (როგორც ევროკავშირის დელეგაციები იქცევიან).

თემატური ტრანსნაციონალური ალიანსების შექმნა და შენარჩუნება

კვლევამ აჩვენა, რომ ადგილობრივ საკონსულტაციო ჯგუფებს შორის არსებული კავშირები განმტკიცდა მათი საქმიანობის მეშვეობით, ხოლო მათ შორის თანამშრომლობა ზრდის მათ პოტენციურ გავლენას. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია შრომის საკითხების მიმართულებით.

რეკომენდებულია თემატური ტრანსნაციონალური ალიანსების ჩამოყალიბება და შენარჩუნება, რათა მოხდეს რესურსების გაერთიანება როგორც შესაძლებლობების, ასევე გამოცდილების თვალსაზრი-

სით. გარდა ამისა, თუ გარკვეულ ჯგუფს ან DAG-ს არ აქვს წვდომა პოლიტიკის შემუშავების დონეზე, მაშინ მის კოლეგას შეუძლია სცადოს ამის მოგვარება საკუთარი მთავრობის მეშვეობით. ეს შეიძლება გაკეთდეს გარკვეულ თემასთან დაკავშირებით ოფიციალური ან არაფორმალური თანამშრომლობით, ინფორმაციისა და რესურსების გაზიარებით და ერთმანეთის საქმიანობის მხარდაჭერით.

მიუხედავად იმისა, რომ ეს სტრატეგია უკვე ხორციელდება რამდენიმე ადგილობრივ საკონსულტაციო ჯგუფში, DAG-ის წევრებმაც უნდა გააძლიერონ ის, სადაც შესაძლებელია. თანამშრომლობა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მსგავსი ინტერესების მქონე ორგანიზაციებით.

ერთობლივი განცხადებების შემუშავების პროცესის გაუმჯობესება

ადგილობრივ საკონსულტაციო ჯგუფების ერთობლივი განცხადებების შემუშავება რთული საქმეა. ეს ძირითადად გამოწვეულია ბიზნეს აქტორებსა და არასამეწარმეო აქტორებს შორის წარმოშობილი ურთიერთსაწინააღმდეგო და შეუსაბამო ინტერესებით. ჯგუფებს შორის შემუშავებული დასკვნები ითვლება DAG-ის წევრების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან (შეიძლება ყველაზე მნიშვნელოვან) პროდუქტად, რადგან ოფიციალური განცხადებებიდან მხოლოდ მათი გაზიარება ხდება მთავრობათაშორის საბჭოსთან (მიუხედავად იმისა, რომ DAG-ებს შორის შეხვედრა ოფიციალურად არ არის გათვალისწინებული სავაჭრო ხელშეკრულებაში).

დაპირისპირებული ინტერესების გამო, გასათვალისწინებელია, არის თუ არა ყველა ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფის წევრის მიერ მოწონებული ერთობლივი განცხადებები წინსვლის ერთადერთი გზა. შეიძლება, ან უცილებელია თუ არა DAG-ების შეხვედრების დროს იმ დაძაბულობის დაძლევა, რომელიც გამოწვეულია ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების (TSD) თავით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული უთანხმოებებით? ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება უფრო ნაყოფიერი იყოს იმაზე შეთანხმება, რომ თანხმობა არ იქნა მიღწეული და სადავო საკითხების მოგვარება მომავლისთვის გადაიდოს. კარგი იქნება ნეიტრალური ფასილიტატორის დახმარება ან DAG-ებს შორის კოალიციების შექმნა დეკლარაციების შემუშავების მიზნით. საბოლოო ჯამში, მაშინაც კი, თუ ერთობლივი განცხადება არ არის მოწონებული ყველა წევრის მიერ, მთავრობათაშორისმა საბჭომ უნდა გაითვალისწინოს DAG-ების განცხადებით გაგზავნილი სიგნალები.

ისევ და ისევ, ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფის წევრებსა და მთავრობებს ეკისრებათ საერთო პასუხისმგებლობა ამ საკითხის გადასაჭრელად. პირველ რიგში DAG-ის წევრებმა უნდა სცადონ იპოვონ გზები ინტერესთა კონფლიქტის მოსაგვარებლად. თუ არც ერთი კომპრომისი არ არის დამაკმაყოფილებელი, მათ უნდა შეძლონ მთავრობებთან ან მთავრობათაშორის საბჭოთან კომუნიკაცია ამ სიტუაციასთან დაკავშირებით. თუ განცხადება დამტკიცებულია DAG-ის ყველა წევრის მიერ, ის მაინც უნდა განიხილოს მთავრობათაშორისმა საბჭომ.

DAG-ებსა და მთავრობებს შორის მეტი, უკეთესი ურთიერთქმედების დამყარება

ზოგადად აღიარებულია, რომ ადგილობრივმა საკონსულტაციო ჯგუფებმა ხელი შეუწყეს ოფიციალურ პირებთან დისკუსიებს. ამის მიუხედავად, კიდევ ბევრის რამის გაკეთებაა საჭირო DAG-ებსა და მათ მთავრობებს შორის ურთიერთობების გასაუმჯობესებლად.

დასაწყისისთვის, საჭიროა მეტი ურთიერთქმედება. DAG-ებს უნდა შეეძლოთ რეგულარულად შეხვდნენ ადგილობრივ მთავრობას მოსაზრებების გაცვლის მიზნით, არა მხოლოდ წელიწადში ერთხელ, რათა მოემზადონ ყოველწლიური ტრანსნაციონალური შეხვედრისთვის. გარდა ამისა, DAG-ებსა და მთავრობათაშორის საბჭოს შორის ამ ტრანსნაციონალურ შეხვედრაზე გათვალისწინებული უნდა იქნეს ოფიციალური ურთიერთქმედება. ასევე უნდა გაუმჯობესდეს ურთიერთქმედების ხარისხი. მთავრობისთვის მნიშვნელოვანია დაინტერესდეს DAG-ის არსებობითა და მუშაობით. უფრო მეტიც, სასარგებლო იქნება უწყვეტობა შენარჩუნდეს DAG-ებთან ოფიციალურ კავშირში, ვინაიდან ეს იძლევა DAG-ის წევრებსა და მთავრობის წარმომადგენლებს შორის ურთიერთობის განვითარების საშუალებას. გარდა ამისა, მთავრობებმა უნდა მიიღონ მეტი ინფორმაცია ზოგადად სავაჭრო ხელშეკრულების, კერძოდ კი TSD თავის განხორციელების შესახებ. თუ ეს ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი, ის შეიძლება შემუშავდეს DAG-ებთან თანამშრომლობით.

DAG-ებსა და პარლამენტებს შორის არსებული ურთიერთობების ინსტიტუციონალიზაცია

როგორც ევროკავშირში, ისე სავაჭრო პარტნიორებში, პარლამენტები იშვიათად მონაწილეობენ ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფის მუშაობაში. ამის მიუხედავად, პარლამენტებმა მოახდინეს სავაჭრო შეთანხმებების რატიფიცირება და მთავრობისგან ითხოვენ მათი განხორციელების ანგარიშვალდებულებას. ამიტომ მათ შეუძლიათ იყონ (და უნდა იყვნენ კიდეც) DAG-ების უფრო ეფექტური მოკავშირეები.

ამ მიზნით, უნდა დამყარდეს ინსტიტუციონალიზებული დიალოგი პარლამენტსა და DAG-ს შორის. ადგილობრივი კონტექსტიდან გამომდინარე, ამ დიალოგის ორგანიზება შესაძლებელია სხვადასხვა გზით, მაგალითად, რეგულარული შეხვედრების, წერილობითი მოხსენებების ან მიზნობრივი ქმედე-

ბით კონკრეტული საკითხების წამოჭრის შემთხვევაში. აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომ პარლამენტებმა მეტი პასუხისმგებლობა აიღონ TSD თავში აღებული ვალდებულებების შესრულების კუთხით და დაეხმარონ ადგილობრივ საკონსულტაციო ჯგუფებს მუშაობაში, რადგან პარლამენტს შეუძლია DAG-ების დახმარება მონიტორინგისა და პოლიტიკის გავლენის განხორციელებაში.

უფრო კონკრეტულად, ადგილობრივ საკონსულტაციო ჯგუფებსა და შესაბამის საპარლამენტო სამსახურებს უნდა ჰქონდეთ კონტაქტი და განავითარონ სამუშაო მეთოდი თანამშრომლობისთვის.

მონიტორინგის მიზანი: როგორ უნდა განახორციელონ უკეთესი კონტროლი?

კვლევის ჩატარებისთვის საჭირო სტრუქტურული რესურსების უზრუნველყოფა

აღიარებული ფაქტია, რომ ევროკავშირში თუ მის გარეთ არსებული ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების კვლევებისთვის გამოყოფილი მცირე ფინანსური რესურსები უარყოფით გავლენას ახდენს DAG-ების მონიტორინგის როლზე. მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების (TSD) თავის განხორციელება უკვე DAG-ების წევრების უფლებამოსილებაა, მათ ხშირად არ აქვთ საკმარისი საშუალებები დამატებითი მონიტორინგის ღონისძიებებისთვის, რომლებიც უკავშირდება კონკრეტული სავაჭრო ხელშეკრულების სირთულეებსა და მის გავლენას მდგრად განვითარებაზე. თუ DAG-ების მუშაობის მოცულობა ისე გაიზრდება, რომ მთელი შეთანხმება მოიცვას, უფრო მნიშვნელოვანი გახდება მონიტორინგისთვის საჭირო დამატებითი რესურსები.

ზემოთ მოცემული მოსაზრების შესაბამისად, რომელიც ეხება მონაწილეობის რესურსებსა და სამდივნოს დახმარებას, შესაძლებელია დაფინანსების სხვადასხვა გზების გათვალისწინება. ცალკეული DAG-ის წევრებს შეუძლიათ სცადონ საკუთარი დაფინანსების მოძიება, როგორც ამას ზოგიერთი აკეთებდა წარსულში. გარდა ამისა, DAG-ის წევრებს შეუძლიათ არსებული რესურსების გაერთიანება და მთელი DAG-ისთვის კვლევის ჩატარება.

ამის მიუხედავად, უმეტეს შემთხვევაში თვითდაფინანსება შეუძლებელია, არა მხოლოდ იმიტომ, რომ არ არის ხელმისაწვდომი, არამედ იმიტომაც, რომ ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების (აღქმული) პოლიტიკური აქტუალობა საკმაოდ დაბალია და DAG-ის წევრებს ურჩევნიათ ინვესტიცია საკუთარ ძვირფას დროში ჩადონ, ვიდრე DAG-ებში. ამრიგად, მხარეებმა ასევე უნდა მიიღონ მონაწილეობა და მხარი დაუჭირონ DAG-ს სადამკვირვებლო როლის შესრულებაში. თუ ევროკავშირი და მისი სავაჭრო პარტნიორები სერიოზულად შეეცდებიან ექსპერტთა ჯგუფს დააკისრონ მონიტორინგი ისეთ რთულ საკითხზე, როგორიცაა სავაჭრო ხელშეკრულების გავლენა მდგრად განვითარებაზე, ამას ლოგიკურად უნდა მოყვეს შესაბამისი დაფინანსება. სამწლიანი „პარტნიორობის ინსტრუმენტი“ თითოეულ ადგილობრივ საკონსულტაციო ჯგუფზე ითვალისწინებს კვლევების შეზღუდულ რაოდენობას. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაშრომის წერის დროს კონკრეტული კვლევები არ ჩატარებულა, ამ ინიციატივის განხილვა მხოლოდ მისასალმებელია. შესაბამისად, ეს პროცესი უნდა შენარჩუნდეს და გაგრძელდეს.

მთავრობასთან უკუკავშირის პროცედურების დადგენა

ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების მთავარი პრობლემაა მთავრობის ანგარიშვალდებულების ნაკლებობა. ამ სუსტი ანგარიშვალდებულების ერთ-ერთი ასპექტი ის არის, რომ DAG-ებისთვის არ არსებობს თითქმის არცერთი დადგენილი პროცედურა, რათა აჩვენონ მუშაობის საბოლოო შედეგი და მიიღონ კავშირი ადგილობრივი მთავრობისგან. ეს რეკომენდაცია (ისევე, როგორც შემდეგი) ეხება ურთიერთობებს: DAG-ებსა და მათ მთავრობებს შორის; DAG-ებს შორის; ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების (TSD) მთავრობათაშორის საბჭოსთან. შესაბამისად, უნდა ჩამოყალიბდეს უკუკავშირი მკაფიო პროცედურებთან ერთად, თუ როგორ უნდა მიეწოდოს მთავრობებს ინფორმაცია. ეს მოიცავს ხელმისაწვდომ ინსტრუმენტებს, რომლებიც, ერთი მხრივ, DAG-ს საშუალებას აძლევს დასვას შეკითხვები და გაუზიაროს სხვებს შეშფოთება ან დასკვნები და, მეორე მხრივ მიიღოს მთავრობის პასუხები. გარდა ამისა, მთავრობებს შეუძლიათ უფრო ხშირად წამოიწყონ უკუკავშირის ციკლი კონკრეტულ საკითხზე DAG-თან კონსულტაციით. ეს უკუკავშირი არ უნდა იყოს ძალიან ხისტი და შეიძლება განსხვავდებოდეს მხარეების შესაბამისად. მთავარი მიზანი არის გაიზარდოს ჩართული მთავრობების რეაგირება და კარგი მმართველობის მაჩვენებელი.

ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფებისთვის შესაძლებელია რამდენიმე მიმართულების განვითარება, მაგალითად, ფიზიკური შეხვედრები მთავრობის წარმომადგენლებსა და DAG-ს შორის, იქნება ეს მხოლოდ DAG- ის ხელმძღვანელობასთან თუ მთელ DAG-თან (ამ უკანასკნელთან შეხვედრების დროს). ასევე შესაძლებელია წერილობითი კომუნიკაციაც. ტრანსნაციონალურ დონეზე უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, რომ მოხდეს DAG-ის საბოლოო შედეგების განხილვა მთავრობათაშორისი საბჭოს სხდომაზე. არსებული საუკეთესო პრაქტიკა მოიცავს ერთობლივი დასკვნების წარდგენას, DAG-ებისა და მთავრობათაშორისი შეხვედრების პარალელურად სხვა შეხვედრების ორგანიზებას ან DAG-ების თავმჯდომარეების მოწვევას.

მთავრობებს მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამგვარი მკაფიო პროცედურების შემუშავებაში. ამის კოორდინირება ყველაზე კარგად DAG-ებთან შეიძლება.

DAG-ების საქმიანობისთვის თვალყურის მიდევნება მთავრობის სუსტი ანგარიშვალდებულების მეორე ასპექტი ისაა, რომ როდესაც DAG-ები აწვდიან საქმიანობის შედეგებს, როგორც წესი, მთავრობების უკუკავშირი ძალიან დაბალია.

ზემოხსენებულ უკუკავშირის ციკლთან დაკავშირებით, მთავრობებმა უნდა უპასუხონ DAG-ების საქმიანობის შედეგებს. რა თქმა უნდა, ეს რეკომენდაცია არ ითხოვს, რომ მთავრობებმა გაითვალისწინონ ან მიიღონ აღნიშნული შედეგები. უფრო მეტად, ეს გულისხმობს, რომ როგორიც არ უნდა იყოს კონტრიბუციის შინაარსი, მთავრობა აღიარებს, განიხილავს მას და დროულად უპასუხებს DAG-ს. ამგვარი საპასუხო ქმედების გარეშე, DAG- ების მუშაობა კარგავს თავის აქტუალობას. ასე თავიდან ავიცილებთ იმას, რომ DAG-ები „დაიღალონ“. გარდა ამისა, ასეთი მიდგომით უფრო ადვილი გახდება DAG-ის წევრების პროგნოზირება და გაიზრდება მათი ვალდებულებები ჯგუფის მიმართ.

მიზანი - პოლიტიკაზე გავლენა: როგორ შეუძლიათ მათ უკეთესი გავლენის მოხდენა?

ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების (TSD) შესახებ არსებული თავის მაქსიმალური აღსრულება

ევროკავშირის დონეზე მიმდინარეობს დებატები ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების (TSD) თავების სუსტი განხორციელების შესახებ და ევროკომისიამ თხუთმეტ-პუნქტიანი გეგმით[1] აღიარა ამ საკითხში გაუმჯობესების საჭიროება. ევროკავშირი თავს არიდებს სავაჭრო სანქციებს, რადგან ისინი არ შეესაბამება მისთვის სასურველ თანამშრომლობით მიდგომას. რადგანაც ეს კონკრეტული თავი არ არის აღსრულებადი, ძალიან ბევრი საშიშროება არ წარმოიშვება აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. ამრიგად, სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციებსა და მთავრობებს არ აქვთ დიდი სტიმული, რომ დაინტერესდნენ DAG-ებით და მათში ჩადონ ინვესტიცია.

არსებული სავაჭრო ხელშეკრულებების მიზნებისთვის, ევროკავშირმა უნდა გააგრძელოს ძალისხმევა და შექმნას ხელსაყრელი გარემო TSD-ის თავის აღსრულებისთვის. სავაჭრო აღსრულების ახლადდანიშნული ოფიცერი,[2] ისევე როგორც ევროკავშირსა და კორეას შორის დადებული სავაჭრო ხელშეკრულების დავების მოგვარების მექანიზმი ასეთი მცდელობების ორ მაგალითს წარმოადგენს. „ნამცხვრის გემო ჭამის დროს დამტკიცდება“ და მტკიცებულების ტვირთი იმის საჩვენებლად, თუ როგორ მიგვიყვანს ეს ბოლოდროინდელი მოვლენები TSD თავის დროულად, ეფექტურად და მტკიცედ განხორციელებასთან, რჩებათ ევროკავშირსა და მის სავაჭრო პარტნიორებს, რომლებმაც თანამშრომლობითი მიდგომა აირჩიეს.

ახალი სავაჭრო შეთანხმებების აღსრულებადობის ზრდისთვის არსებობს რამდენიმე გზა. მაგალითად, საფრანგეთმა და ნიდერლანდებმა[3] წარმოადგინეს ტარიფების შემცირების ან ზრდის ინიციატივა სავაჭრო პარტნიორების პროგრესის საფუძველზე, მდგრადი განვითარების თავის დანერგვისას. ეს, არსებითად, სანქციების ტოლფასია, თუმცა დიპლომატიური თვალსაზრისით, არის ბევრად უფრო მსუბუქი. დამატებით, დავის მოგვარების მექანიზმი შეიძლება იყოს ოპტიმიზებული, DAG–ების ოფიციალური როლის გათვალისწინებით საქმის აღძვრისას, გამოძიების პროცესში წვლილის შეტანისას და საქმისწარმოების შესახებ ინფორმირებულობისას. გარდა ამისა, ეს მექანიზმი უნდა იყოს უკიდურესი საშუალება, იმ შემთხვევაში თუ სამთავრობო კონსულტაციები და ექსპერტთა კოლეგიები ვერ მოიტანენ სასურველ ცვლილებებს. როდესაც თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას მკაფიო უარყოფითი გავლენა აქვს მდგრად განვითარებაზე და ხელს არ უწყობს მხარეთა ვალდებულებებს ამ საკითხთან დაკავშირებით, ხელშეკრულების შეჩერება არ უნდა გამოირიცხოს.

როგორც უკვე აღვწერეთ, ამ კონტექსტში ევროკომისიას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. უფრო მეტიც, ევროპის პარლამენტი უფრო ფხიზელი და მომთხოვნი უნდა იყოს რათა დარწმუნდეს, რომ მდგრადი განვითარების თავები სრულდება. ამავდროულად საკმარისი ყურადღება უნდა გამახვილდეს ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნების შესაძლო ნაკლოვანებებზე.

DAG-ების გავლენის შესახებ მოლოდინების დაზუსტება

მართალია აშკარაა, რომ ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფები შეიქმნა მდგრად განვითარებაზე გავლენის მოსახდენად, მაგრამ არსებობს მნიშვნელოვანი გაუკვევლობა და ბუნდოვანება იმასთან

1 კომისიის სერვისები. 2017. „კომისიის სერვისების არაოფიციალური მხარე: ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების (TSD) თავები ევროკავშირში; თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები (FTA).“ ხელმისაწვდომია ბმულზე: http://trade.ec.europa. eu/doclib/docs/2017/july/tradoc_155686.pdf

2 ევროკომისია; ევროკომისია ნიშნავს თავის პირველ სავაჭრო აღსრულების მთავარ ოფიცერს ხელმისაწვდომია ბმულზე: https://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2017/july/tradoc_155686.pdf

3 არაოფიციალური დოკუმენტი ნიდერლანდებიდან და საფრანგეთიდან ვაჭრობის, სოციალური საკითხების, ეკონომიკური ეფექ-ტებისა და მდგრადი განვითარების შესახებ. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://nl.ambafrance.org/Non-paper-from-the-Netherlands-andFrance-on-trade-social-economic-effects-and

დაკავშირებით, თუ რას უნდა მიაღწიონ DAG–ებმა და როგორ შეძლონ ამის გაკეთება.

აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია დაზუსტება, თუ როგორია ცვლილების პროცესი ან მიზეზ-შედეგობრივი კავშირი DAG–ების საქმიანობასა და მდგრად განვითარებას შორის. მაგალითად, შემუშავებული უნდა იქნეს ცვლილების თეორია, მეთოდი, რომელიც ახსნის ცვლილებების პროცესს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების აღწერით DAG–ების პოტენციური გავლენის შესახებ მდგრადი განვითარების ინიციატივაში, იმის გასაგებად, თუ რა შეიძლება იყოს რეალურად მოსალოდნელი. ამგვარი თეორიის მიხედვით უნდა განისაზღვროს, თუ როგორი გავლენა შეიძლება იქონიოს (ან უნდა იქონიოს თუ არა) ინფორმაციის გაზიარებამ და მონიტორინგმა DAG-ის წევრებს შორის (საჭიროა საერთო პოზიციები, უკეთესი მონიტორინგი თუ შედარებით სუსტი წევრების გაძლიერება?) და რა სახის საგრძნობი გავლენა შეიძლება იყოს მოსალოდნელი (ინსტიტუციური განვითარება, კონვენციების რატიფიცირება, თუ ტრანსნაციონალური ადვოკატირების ალიანსები?).

ამით სავაჭრო ხელშეკრულების მხარეები ხელს შეუწყობენ სამოქალაქო საზოგადოების იმ ორგანიზაციებთან მოლაპარაკებების მართვას, რომლებიც DAG–ში მონაწილეობენ. DAG-ის წევრებისთვის, აშკარა „ცვლილებების თეორიას“ ექნებოდა ნიშნულების დადგენის უპირატესობა იმ თვალსაზრისით, თუ რისი მიღწევა სურთ მათ ამ მექანიზმების საშუალებით.

ჩარჩოდან გამოსვლა

ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფები წარმოადგენენ თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებების ნაწილს. მიუხედავად იმისა, რომ მათ შეიძლება ხელი შეუწყონ ამ სავაჭრო შეთანხმებების მდგრადობის გაზრდას, განსაკუთრებით მაშინ თუ მოხდება ზემოხსენებული რეკომენდაციების გაითვალისწინება, მაინც საეჭვოა, დააბალანსებენ ისინი თუ არა თავისუფალი ვაჭრობის ძირითად შედეგებს. ასევე სავაჭრო სანქციებმა შეიძლება არ გამოიწვიოს სასურველი შედეგები, რადგან ისინი საფრთხეს უქმნიან ყველაზე დაუცველ ადამიანებს და ა„მით ახდენენ ნეო-კოლონიური ლოგიკის ხელახლა წარმოშობას. და რამდენადაც პრაქტიკაში DAG–ებმა გავლენა უნდა მოახდინონ მდგრად განვითარებაზე, შეიძლება ეს არ შესრულდეს სავაჭრო ჩარჩოს მიღმა არსებული ფაქტორებისა თუ აქტორების გამო.

DAG–ების წევრებმა და მხარეებმა უნდა იცოდნენ იმ სტრუქტურული შეზღუდვების შესახებ, რომელთა პირობებშიც ისინი ახორციელებენ მოქმედებას. მნიშვნელოვანი შედეგების მისაღწევად, მათ არა მხოლოდ ბოლომდე უნდა გაითვალისწინონ თავისუფალი ვაჭრობის გავლენა მდგრად განვითარებაზე, არამედ ასევე უნდა განიხილონ ძირითადი ფაქტორები, რომლებიც განამტკიცებენ უთანასწორობასა და უსამართლობას ქვეყნებში და მათ შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს რისკი, რომ DAG–ები მოემსახურებიან მხოლოდ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ლეგიტიმაციას.

აქედან გამომდინარე, DAG–ების წევრებმა უნდა განიხილონ გავლენის როგორც „შინაგანი“, ასევე „გარეგანი“ სტრატეგია და დარჩნენ კრიტიკულები იმ ჩარჩოს მიმართ, რომელშიც მოქმედებენ. მათი მონაწილეობა შეიძლება იყოს მდგრადი განვითარების ფართო სტრატეგიის მხოლოდ ერთი ელემენტი. ამასობაში, მხარეებმა თავი უნდა შეიკავონ მდგრადი განვითარების თავის და მასში შემავალი DAG–ების წარმოდგენისგან ისე, რომ თითქოს ეს არის „სასწაულმოქმედი საშუალება“ მდგრადი განვითარებისათვის. გლობალური სამართლიანობის ფართო საკითხების სერიოზულად განხილვისთვის უფრო მეტი უნდა გაკეთდეს, ვიდრე სავაჭრო ინსტრუმენტების საშუალებით მდგრადი განვითარების ვალდებულებების წინ წამოწევაა.

3

დანართი A

სოციოლოგიური კვლევა ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების შესახებ ევროკავშირი-საქართველოს ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეში

ზოგადი შესავალი

ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება“ (DCFTA) წარმოადგენს ასოცირების ხელშეკრულების ნაწილს, რომელსაც ხელი მოეწერა 2014 წლის 27 ივნისს. დანართი A, თავის მხრივ, ერთ-ერთია იმ სამი ხელშეკრულებიდან, რომლებიც დადებულია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან (დანარჩენი ორი გაფორმებულია მოლდოვასა და უკრაინასთან). ევროკავშირის მრავალი სხვა სავაჭრო შეთანხმებისაგან განსხვავებით, DCFTA ითვალისწინებს „საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ მარეგულირებელ დაახლოებას“ ევროკავშირის კანონის ძირითად ელემენტებთან (აქედან გამომდინარეობს „ღრმა და ყოვლისმომცველი“).[1]

საქართველო თავისუფალი ვაჭრობის მტკიცე მხარდამჭერია. DCFTA–მდე, 2006 წელს მან განახორციელა ევროკავშირის მიმართ სავაჭრო და საინვესტიციო პოლიტიკის ცალმხრივი ლიბერალიზაცია.[2] 2016 წლის ბოლომდე ის იყო ევროკავშირის GSP+ სქემის ბენეფიციარი. ამის მიუხედავად, მისი სავაჭრო ურთიერთობა ევროკავშირთან ძალიან ასიმეტრიულია. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი არის საქართველოს უდიდესი სავაჭრო პარტნიორი და პასუხისმგებელია საქონლით საგარეო ვაჭრობის 23,4 პროცენტზე, საქართველო მოიცავს ევროკავშირის საქონლით საგარეო ვაჭრობის მხოლოდ 0,1 პროცენტს.[3]

ბევრი დაინტერესებული მხარე საქართველოში თუ ევროკავშირში „ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას“ (DCFTA) განიხილავს არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ გეოპოლიტიკურ ჭრილშიც, და ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების საშუალებად აღიქვამს. შესაძლოა პოლიტიკური მხარდაჭერა გარკვეულწილად ჩრდილავდეს DCFTA–ს ეკონომიკური და მდგრადობის ასპექტების ობიექტურ შეფასებას (EU3 და EU6).

მაშინ როდესაც საქართველო იღებს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს ევროკავშირთან საერთო ღირებულებებს დანართ A-ს ჩარჩოებში, „ფრიდომ ჰაუსი“ (Freedom House) მას აკლასიფიცირებს, როგორც „ნაწილობრივ თავისუფალს“. „ფრიდომ ჰაუსის“ თანახმად, „ოლიგარქიული ზემოქმედება გავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკურ საქმეებზე, პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და მედია გარემოზე, ხოლო კანონის უზენაესობა პოლიტიზირებულია. სამოქალაქო თავისუფლებები არათანმიმდევრულად არის დაცული.[4] ამავდროულად, მაშინ როდესაც „საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების სექტორი საკმაოდ ძლიერია“ და რამდენიმე ჯგუფი ჩართულია პოლიტიკურ დისკუსიებში, ზოგიერთი ჯგუფი აცხადებს, რომ ისინი განიცდიან პოლიტიკურ ზეწოლას. ძირითადად ეს ატარებს საჯარო კრიტიკის სახეს სამთავრობო მოხელეების თუ ოპოზიციური პირების მხრიდან. ანალოგიურად, სავაჭრო კავშირების თავისუფლების ქულა არის 4–იდან 2. ეს ცხადყოფს, რომ მსხვილი ბიზნეს ინტერესები შეიძლება დომინირებდეს სავაჭრო კავშირებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რომლებიც წარმოადგენენ სხვა ინტერესებს, რაც ვლინდება შრომის ბაზრის რეფორმებთან დაკავშირებულ საქმეებში. სამოქალაქო საზოგადოება სხვა გამოწვევების წინაშეც დგას, როგორიცაა (ზოგიერთ შემთხვევაში) პოლიტიზირება, შეზღუდული კავშირები ზოგადად საზოგადოებასთან და ძლიერი დამოკიდებულება დონორებზე.[5]

---

1 ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის. 2014. ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალი. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://eur-lex.europa.eu/ legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830(02).

2 პატრიკ მესერლინი, მაიკლ ემერსონი, გია ჯანდიერი და ალექსანდრე ლე ვერნოი. 2011. „ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკის შეფასება მისი აღმოსავლეთ მეზობლების მიმართ.“ CEPS. 2011 წლის 1 მარტი. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.ceps.eu/ceps-publications/appraisal-eus-trade-policy-towards-its-eastern-neighbours-case-georgia/.

3 ევროკავშირი, საქონლით ვაჭრობა საქართველოსთან. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://webgate.ec.europa.eu/isdb_results/factsheets/country/details_georgia_en.pdf.

4 „ფრიდომ ჰაუსი“ (Freedom House), საქართველო. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://freedomhouse.org/ country/georgia/freedom-world/2020.

5 პინოლ პუიგი, ჯემა. 2016. „სამოქალაქო საზოგადოების სიტუ-

საქართველომ და ევროკავშირმა DCFTA–ს ფარგლებში შექმნეს ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფები. პერუს შემთხვევისგან განსხვავებით, ქართული DAG შეიქმნა, როგორც ახალი მექანიზმი, რომელიც მოიცავს ბიზნესის, სავაჭრო კავშირების, გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების და ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომლებიც მუშაობენ ადამიანის უფლებების, მათ შორის შრომითი უფლებების კუთხით. მარტენსის და სხვების მიერ შემუშავებული „სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ინდექსის“ (2018) მიხედვით, ხელშეკრულების დებულებებმა საქართველოს შემთხვევაში ის შუალედურ ჯგუფს მიაკუთვნეს. მხარეებთან კომუნიკაციის შესახებ დებულებები საკმაოდ ძლიერია, მაგრამ დავის მოგვარების მექანიზმში წვლილის შეტანის შესახებ დებულებები შედარებით სუსტია.

თავისებურება: სამოქალაქო საზოგადოების მექანიზმების გადაფარვა

სამოქალაქო საზოგადოების მექანიზმები, რომლებიც დადგენილია „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ (DCFTA) მდგრადი განვითარების თავში (DAG და ფორუმი), არ არის სამოქალაქო საზოგადოების ერთადერთი მექანიზმი ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობებში. არსებობს სულ მცირე ოთხი სხვა მექანიზმი: ევროკავშირისა და საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა და საქართველოს ეროვნული პლატფორმა, რომელიც აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ნაწილია (იხ. ცხრილი 9).

ამ მექანიზმების მიზანია იმ პოლიტიკის ინსტრუმენტების შესრულების მონიტორინგი და განხილვა, რომლებშიც მოხდა მათი დადგენა და რეკომენდაციების წარდგენა ერთობლივი საბჭოს ან მათი შესაბამისი მთავრობებისთვის. არსებობს შინაარსობრივი გადაფარვა ამ სხვადასხვა პოლიტიკის ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც მოიცავენ ისეთ ფართო თემებს, როგორიცაა მდგრადი განვითარება, კარგი მმართველობა და ეკონომიკური ინტეგრაცია. გარდა ამისა, არსებობს გადაფარვა ამ მექანიზმებში მონაწილეობის კუთხითაც.

ცხრილი 3

ძირითადი სამოქალაქო მექანიზმები ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობებში

სახელი	დაარსებულია	წევრები	როლი	ძირითადი არეალი
საქართველოს ეროვნული პლატფორმა	აღმოსავლეთის პარტნიორობა	ქართული მექანიზმი	აღმოსავლეთ პარტნიორობის მხარდაჭერა და საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ინტერესების წარმოდგენა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმზე	- დემოკრატია, კარგი მმართველობა - ეკონომიკური და ევროკავშირში ინტეგრაცია - ენერგეტიკა, კლიმატის ცვლილებები და გარემო - ქსელი ქვეყანაში, რეგიონის მასშტაბით და ევროკავშირთან
ევროკავშირი-საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი	ასოცირების ხელშეკრულება	ერთობლივი, წევრობაზე დაფუძნებული, მათ შორის EESC-ისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის წევრები	შეხვედრა და მოსაზრებების გაცვლა და ასოცირების საბჭოსთვის რეკომენდაციების წარდგენა	ასოცირების ხელშეკრულება მთლიანობაში

→

აციის ანალიზი საქართველოში,“ ევროპის ფონდი, 2016. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.epfound.ge/wp-content/uploads/2016/12/Situation-Analysis-of-CSOs-in-Georgia.pdf.

←

სახელი	დაარსებულია	წევრები	როლი	ძირითადი არეალი
შიდა საკონ-სულტაციო ჯგუფები	TSD-ის თავი DCFTA-ში	ევროკავშირისა და საქართველოს ცალკეული მექანიზმი	რჩევების, მოსაზრებების ან რეკომენდაციების წარდგენა, მათ შორის საკუთარი ინიციატივით	TSD თავის განხორციელება
სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი პლატფორმა	TSD-ის თავი DCFTA-ში	ერთობლივი, წევრობაზე არ-დაფუძნებული	დიალოგის წარმართვა	DCFTA მდგრადი განვითარების ასპექტები
DCFTA-ს სა-კონსულტაციო ჯგუფი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	ქართული მექანიზმი	DCFTA სამოქალაქო საზოგა-დოების ჩართულობის უზრუნ-ველყოფა DCFTA– ს ეფექტური განხორციელების პროცესში	DCFTA– ს განხორციელება მთლიანობაში

მრავალი მსგავსი სამოქალაქო საზოგადოების მექანიზმების არსებობა მხოლოდ ევროკავშირსა და საქართველოს ურთიერთობებისთვის არ არის დამახასიათებელი. ისინი ასევე არსებობენ ევროკავშირის ურთიერთობებში მსოფლიოს რამდენიმე ნაწილთან. თუმცა, რამდენიმე მექანიზმი საკმაოდ გამორჩეულია უკრაინაში, საქართველოსა და მოლდოვაში - ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამ ქვეყანაში, რომლებმაც დადეს ასოცირების ხელშეკრულება, მათ შორის DCFTA. საქართველო არის აღმოსავლეთ პარტნიორობის მოწინავე და ევროინტეგრაციის მიმდევარი ქვეყანა. იგი ასევე ვაჭრობის ლიბერალიზაციის მტკიცე მომხრეა და ვაჭრობას მიიჩნევს თავისი ეკონომიკური განვითარების საკვანძო საკითხად.

ამ სიტუაციის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს ადგილობრივ საკონსულტაციო ჯგუფების (ევროკავშირის და საქართველოს) წევრებს შორის. ზოგისთვის ეს მრავალი პლატფორმა ლაბირინთს წარმოადგენს:

„ეს დამაბნეველია, მე არ მაქვს ზუსტი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა რასთან არის არის დაკავშირებული, მესმის მხოლოდ აბრევიატურა, ეს შემთხვევითი და სპეციალური შეხვედრები, „სწრაფად, სწრაფად, ჩვენ უნდა შევხვდეთ“ და არანაირი შემდგომი გაგრძელება ამას არ მოჰყვება.“ (NEU7); ან „ვერ ვხედავ სხვაობას ამ შეხვედრებს შორის“ (EU6). მართლაც, ერთმა რესპონდენტმა თქვა, რომ „როდესაც გაიგებ თუ სად რას აკეთებ, იცი ისტორია და ა.შ. შეგიძლია მიჰყვე ამას და გამოიყენო, მაგრამ მათთვის, ვინც ახლა გვიერთდება, ამის გაგება კოშმარია“ EU2).

ევროკავშირისა და საქართველოს ადგილობრივ საკონსულტაციო ჯგუფების წევრები, რომლებიც სხვადასხვა მექანიზმებში არიან ჩართულნი და შეუძლიათ მათი ერთმანეთისგან განსხვავება, ამ გადაფარვას აფასებენ როგორც უპირატესობას, და არა როგორც უარყოფით მხარეს. მიუხედავად იმისა, რომ არ არის არსებითი კავშირი ასოცირების შეთანხმებას, მის მდგრადი განვითარების თავსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის მექანიზმებს შორის, ჯგუფები განმარტავენ, თუ როგორ იყენებენ ამ მექანიზმებს საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად. ამ გზით ისინი ასევე უზრუნველყოფენ, რომ ამ მექანიზმების საშუალებით წარმოებულ დოკუმენტებში შეტყობინებები მსგავსი იყოს. გარდა ამისა, ერთი მექანიზმის წევრობამ შეიძლება გამოიწვიოს სხვა მექანიზმში ჩართულობა, მაგალითად, როგორც სპიკერისა.

ზოგიერთი მექანიზმი სხვებთან შედარებით პრივილეგირებულია. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმს აქვს (ევროკავშირის მიერ დაფინანსებული) რესურსები და სამდივნო, რაც მას უფრო ეფექტურს ხდის, ხოლო საქართველოს DAG–ს რესურსი არ აქვს და ძირითადად თავმჯდომარე ზრუნავს არსებით მომზადებასა და კოორდინაციაზე. გარდა ამისა, ზოგიერთი დაინტერესებული მხარე თვლის, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმისა და ევროკავშირი-საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის (დანართი A–ს ფარგლებში) რეკომენდაციები გვთავაზობს სამოქალაქო საზოგადოების უფრო სრულყოფილ და კონსოლიდირებულ ხედვას, ამიტომ მათ მეტი პოლიტიკური წონა აქვთ. მაგალითად, ისინი გამოიყენება ევროპარლამენტის საცნობარო დოკუმენტად. მთავრობის წარმომადგენლები უფრო მეტ მონაწილეობას იღებენ ევროკავშირსა და საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ფორუმში. ამით აიხსნება ის ფაქტი, თუ რატომ არის მეტი ორგანიზაცია დაინტერესე-

ბული ამ მექანიზმებში გაწევრიანებით, ვიდრე DAG–ში და ზოგიერთების მიერ რატომ მოხდა ასოცირების ხელშეკრულების სამოქალაქო საზოგადოების მექანიზმისა და მდგრადი განვითარების თავის გაერთიანების შემოთავაზება. თუმცა, DAG–ები ფოკუსირება უფრო ვიწრო ჭრილში ხდება, ვიდრე სხვა მექანიზმებისა. მათ პირდაპირი კონტაქტი აქვთ „ვაჭრობის გენერალურ დირექტორატთან", რაც ასევე შეიძლება სასარგებლო იყოს გავლენის თვალსაზრისითაც. გარდა ამისა, მდგრადი განვითარების თავს, რომლის ფარგლებშიც მოქმედებენ DAG–ები და ფორუმი, აქვს ვალდებულების უფრო მაღალი დონე, ვიდრე პოლიტიკის სხვა ინსტრუმენტებს, რაც მას უპირატესობას ანიჭებს პოლიტიკის პოტენციური გავლენის თვალსაზრისით.

და ბოლოს, ლეგიტიმურობის მექანიზმებს შორის არსებობს დაძაბულობა და ეჭვქვეშ დგება მათი წარმომადგენლობაც. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმსა და მის ეროვნულ პლატფორმებს სურდათ მონაწილეობა მიეღოთ ასოცირების ხელშეკრულების თავის სამოქალაქო საზოგადოების მექანიზმებისა და მდგრადი განვითარების თავის წევრების შერჩევაში. ეს აღქმული იყო როგორც ევროკავშირთან საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთქმედების მონოპოლიზაციის სურვილი და მას წინააღმდეგობა გაუწიეს ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების მოქმედმა პირებმა. ეს ასევე უკავშირდება წარმომადგენლობის საკითხებს. როგორც ერთ–ერთმა რესპონდენტმა თქვა, „ზოგიერთი წევრის შესახებ ვიცი, თუ რას ან ვის წარმოადგენენ, სხვებზე კი ძნელი სათქმელია. გარკვეულმა პიროვნებებმა ეს საკუთარი ორგანიზაციების პოპულარიზაციისთვის გამოიყენეს" (EU2). ევროკავშირისა და საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი არის ერთობლივი მექანიზმი და ითვლება, რომ მასში უფრო მეტად ევროკავშირის წევრები არიან წარმოდგენილნი. მეორე მხრივ, DAG–ები წარმოადგენენ ეროვნულ მექანიზმებს და ევროკავშირის მხარეს არ აქვს დიდი შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს მათ ფორმირებაზე.

რომ შევაჯამოთ, მრავალფეროვანი სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმების არსებობა ეხმარება სამოქალაქო საზოგადოებას გაუგზავნოს გზავნილები ევროკავშირისა და საქართველოს ხელისუფლების ორგანოებს. მათ შექმნას უპირატესობას ანიჭებს რამდენიმე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია და შესაბამისად, ეს სიტუაცია ასუსტებს DAG–ებთან დაკავშირებულ პოტენციურ გავლენას. გარდა ამისა, მექანიზმების უმეტესობა ეხება წარმომადგენლობას, ეფექტურობას, ხილვადობასა და ზეგავლენას.

ევროკავშირისა და ქართული DAG-ების ჩართულობის კიბე

ინსტრუმენტული: შეუძლიათ თუ არა მათ შეხვედრა?

რაც შეეხება ევროკავშირის ყველა სავაჭრო შეთანხმებას, „ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის" (EESC) სამდივნო ზრუნავს ევროკავშირის ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების შეხვედრების ორგანიზებაზე. ისინი საშუალოდ წელიწადში სამჯერ ხვდებიან ერთმანეთს. ქართული ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფი, რომელსაც არ აქვს სამდივნო ან საკუთარი რესურსები, რეგულარულად ვერ ატარებს შეხვედრებს. მისი საქმიანობა ორიენტირებულია ყოველწლიური ტრანსნაციონალური შეხვედრის გარშემო. კოორდინაციას ახორციელებს ძირითადად ქართული DAG–ის თავმჯდომარე. რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ რესურსების ნაკლებობამ უარყოფითი გავლენა იქონია DAG–ის მუშაობასა და შეხვედრებში მონაწილეობაზე. შეხვედრების სიმცირე ასევე დასახელდა, როგორც დაბრკოლება მიღწევებისკენ მიმავალ გზაზე.

ყოველწლიური შეხვედრები მიმდინარეობს ტრანსნაციონალურ დონეზე. თუმცა არსებობს პრეტენზიები იმის თაობაზე, რომ ძალიან გვიან ხდება მონაწილეების ინფორმირება ამ შეხვედრების თარიღებზე, რაც ხელს უშლის მათ მონაწილეობას. როდესაც შეხვედრები ტარდება ბრიუსელში, მას ორგანიზებას უწევს „ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი" (EESC). საქართველოში კი, „ამის შეთანხმება ბოლო წუთებში ხდება" (EU2).

სამოქალაქო საზოგადოების მექანიზმის ამ ინსტრუმენტული მიზნის მიღწევის მიუხედავად, DAG-ის ზოგიერთ წევრები ფიქრობენ, რომ ეს შეხვედრები „მხოლოდ შეხვედრების ჩატარების მიზნით ხდება" და რომ ისინი "აკმაყოფილებენ შეხვედრების ჩატარების მოთხოვნას" (NEU7). ერთ–ერთმა კი შეხვედრებს უწოდა „თავაზიანი ზარი მთავრობისგან" (EU6).

ინფორმაციის გაზიარება: შეუძლიათ მათ საუბარი?

როგორც ჩანს, მიღწეულია ინფორმაციის გაზიარების მიზანიც, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი აკრიტიკებს ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების საქმიანობის დონესა და მათ წარმომადგენლობას.

რაც შეეხება შინაარსს, დღის წესრიგში ყოველთვის იყო შრომის საკითხები. კერძოდ, განხილული იქნა შრომის ინსპექცია, შრომის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, სოციალური დიალოგი, ქალთა უფლებები, ბავშვთა შრომა და საქართველოს შრომის კოდექსის რეფორმა. წლების განმავლობაში მეტი ყურადღება ექცეოდა მდგრადი განვითარების თავით

გათვალისწინებული გარემოსდაცვითი შეთანხმებების შესრულებას, ხოლო მდგრადობის ეკონომიკურ საყრდენს - შედარებით ნაკლები. DAG–ებში ხორციელდებოდა ზარები ბიზნესის წარმომადგენლებისგან, ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების უფრო მეტად განხილვის მიზნით.

ინფორმაციის გაცვლა ნახსენებია, როგორც DAG–ების მნიშვნელოვანი მიზანი: „ორივე მხარის წარმომადგენლებთან დისკუსიების შესაძლებლობა, გავცეთ არა ფორმალური, არამედ დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას ვაკეთებთ ჩვენს ქვეყნებში - არა ის, თუ რა წერია ფურცელზე, არამედ ის, რაც რეალურად კეთდება. ეს არის DAG–ის ძლიერი ნაწილი“ (EU6). ერთი ქართველი წევრი მიიჩნევს, რომ გასაუმჯობესებელი ჯერ კიდევ ბევრია, თუმცა, მიუხედავად ამისა, „DAG–ები შეიძლება იყოს კარგი ინსტრუმენტი სხვადასხვა მხარის მოთამაშეებს შორის ქსელის შექმნისათვის. გაცვლა ყოველთვის კარგია“ (NEU7).

ჰორიზონტალური გაცვლა, როგორც ჩანს, ყველაზე ძლიერია ორივე მხარის სავაჭრო კავშირის წევრებს შორის, განსაკუთრებით იმიტომ, რომ მათ სავაჭრო ურთიერთობამდეც ჰქონდათ კავშირი. დანარჩენი ჯგუფებისთვის ეს გაცვლა შემოიფარგლება მხოლოდ შეხვედრებით. ჯგუფებს შორის შეხვედრებზე დაძაბულობა იყო ერთობლივ დასკვნებზე შეთანხმებასთან დაკავშირებით, რადგან ქართული ბიზნეს მხარე ყოველთვის არ ეთანხმებოდა შინაარსს. ამან გამოიწვია „დაძაბული დისკუსიები“ (NEU5), რომლებიც აღწერილი იქნა როგორც „მტკივნეული პროცესი“ (NEU7). უთანხმოებიდან გამოსავალი იყო ერთობლივ დასკვნებში კომპრომისის შეტანა, იმ საკითხების მითითება, რომლებსაც მხარს არ უჭერენ საქართველოს DAG-ის წევრები. ვერტიკალური გაცვლა DAG–ებსა და მთავრობებს შორის ხდება ევროკავშირის დონეზე და დადებითადაა შეფასებული (იხ. მონიტორინგი). საქართველოში სიტუაცია განსხვავებულია, რადგან ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფის ზოგიერთი წევრის თქმით, საქართველოს DAG–სა და ეკონომიკის სამინისტროს შორის ხშირი შეხვედრები გაიმართა, სხვები კი ინფორმირებულები არ არიან ამის შესახებ.

ყველა წევრი თანხმდება, რომ DAG–ს აკლია აქტიურობა, ხშირი კონტაქტი და დაინტერესებული წევრები, რაც არის მანკიერი წრე. ერთმანეთზეა გადაჯაჭვული აქტიურობისა და ხშირი კონტაქტის ნაკლებობა DAG–ებს შიგნით და მათ შორის. თუმცა წევრები აღიარებენ, რომ ორივე მხარის უფრო აქტიური მიდგომა სასარგებლო იქნება DAG-ების მუშაობისთვის. გარდა ამისა, ადგილობრივ საკონსულტაციო ჯგუფებს შორის მცირე ურთიერთქმედებაა. საქართველოს ჯგუფის წევრები გრძნობენ ინტერესის ნაკლებობას ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხრიდან, რაც დაადასტურა ევროკავშირის DAG–ის წევრმა.

ეჭვქვეშ დგება ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფის წევრების წარმომადგენლობა. პირველი, შერჩევის პროცედურა DAG-ის ყველა წევრისთვის ნათელი არ არის. ზოგი ამბობს, რომ პროცედურა საქართველოს მთავრობის მხრიდან მიკერძოებულია, ზოგი კი აცხადებს, რომ ის კარგია. მეორე, DAG-ის წევრები აღიარებენ, რომ ქართული ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფი არ წარმოადგენს ქართულ საზოგადოებას და ზოგიერთი ორგანიზაცია საერთოდ არ არის წარმოდგენილი. არასამთავრობო ორგანიზაციები კარგად არიან წარმოდგენილი და პროფკავშირებიც აქტიურია. თუმცა წარმოიშვა კითხვები, უნდა იყვნენ თუ არა საქართველოს სხვა პროფკავშირების ორგანიზაციები DAG–ებში ჩართული. ბიზნესის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წარმომადგენელი „საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატიდანაა“, თუმცა ეს ორგანიზაცია არ წარმოადგენს ქართული ბიზნესების უმრავლესობას. რაც შეეხება ევროკავშირის DAG–ებს, ქართული DAG–ის ზოგიერთ წევრს მოსწონს მათთან თანამშრომლობა, ზოგი კი ფიქრობს, რომ ისინი რეალობიდან შორს არიან.

მონიტორინგი: შეუძლიათ თუ არა მათ ზედამხედველობა?

მიღწეულია გარკვეული წარმატებები ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების მონიტორინგის მიზანთან დაკავშირებით, რაც განსაკუთრებით ეხება შრომის საკითხებს. თუმცა, ეს მხოლოდ DAG–ების მუშაობით არ არის განპირობებული. მაგალითად, კვლავ რჩება ანგარიშვალდებულების დეფიციტი საქართველოს მთავრობის მხრიდან საქართველოს ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფის მიმართ, ხოლო ევროკომისიისა და საქართველოს მთავრობის მხრიდან - DAG–ების მიერ გაკეთებული ერთობლივი დასკვნებისა და რეკომენდაციების მიმართ.

ქართველმა რესპონდენტებმა ნათლად თქვეს, რომ მათ ადგილობრივ საკონსულტაციო ჯგუფს არ აქვს ფორმალური მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობა. მათი მონიტორინგის საქმიანობა შემოიფარგლება პრიორიტეტების განახლებით (რაც დიდად არ იცვლება, მცირე პროგრესის გამო) ყოველწლიურად და ამ თემებზე შესაბამისი ინფორმაციის შეგროვებით DAG–ის წევრებისგან. ჯგუფებს შორის ყოველწლიური შეხვედრის არსებითი მომზადება ხორციელდება ძირითადად საქართველოს ადგილობრივ საკონსულტაციო ჯგუფის მიერ, რასაც კოორდინაციას უწევს მისი თავმჯდომარე. მდგრადი განვითარების თავის დანერგვასთან დაკავშირებით არ ხორციელდება მონიტორინგის რაიმე სპეციალური ღონისძიებები.

როდესაც საქმე ეხება მთავრობების კონსულტაციის პროცედურებს, ევროკავშირის DAG–ის წევრებს, განსაკუთრებით შრომის წარმომადგენლებს, აქვთ წვდომა ევროკომისიის წარმომადგენლებთან და საკმაოდ კმაყოფილი არიან მათი შემდგომი შესრუ-

ლებით. განსხვავებული სურათია ქართულ მხარესთან, სადაც DAG–სა და მთავრობას შორის არ არის დამკვიდრებული, ინსტიტუციონალური სახის კავშირი. ამის მიუხედავად, ქართული ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფის ერთი წევრი აღნიშნავს ევოლუციას მთავრობის დამოკიდებულებაში: „ჩვენს მთავრობასთან მუშაობა პრობლემას წრმოადგენს. თუმცა მასზე წვდომა იზრდება. ეს ჯერ კიდევ რთულია, მაგრამ ფართოვდება“ (NEU3).

ერთობლივი დასკვნები შეთანხმებულია ჯგუფებს შორის შეხვედრის დროს (ეს შეხვედრა არ არის გათვალისწინებული სამოქალაქო საზოგადოების მექანიზმების ოფიციალურ ინსტიტუციონალურ მოწყობაში) და ითვლება ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტად, რადგან იგი გადაეცემა მთავრობათაშორის საბჭოს, ვაჭრობის მდგრადი განვითარების ქვეკომიტეტს. ამ დასკვნებში მოცემული რეკომენდაციები წლების განმავლობაში საკმაოდ ერთგვაროვანი იყო, თუმცა მოხდა მათი დაკონკრეტება. მთავრობის ანგარიშვალდებულება შერეული ხასიათისაა. როგორც ჩანს, ევროკავშირის DAG-ების წევრები კმაყოფილი არიან ევროკომისიის მიერ განხორციელებული ქმედებებით, მიუხედავად იმისა, რომ რეალური ფორმალური კომუნიკაცია არ არსებობს.

ერთ–ერთმა რესპონდენტმა განმარტა, რომ ზოგიერთ საკითხზე კომისიას ურჩევნია დახურულ კარს მიღმა იმუშაოს საქართველოს ოფიციალურ პირებთან, ნაცვლად ოფიციალური კომუნიკაციებისა. ამის საპირისპიროდ, ქართულ ადგილობრივ საკონსულტაციო ჯგუფს არასდროს მიუღია მნიშვნელოვანი გამოხმაურება მის მიერ მიწოდებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით: „არანაირი რეალური კონსულტაცია არ ჩატარებულა, ისინი გვიგზავნიან მხოლოდ სამუშაო გეგმებს, დაუყოვნებლივ, შეხვედრების შემდეგ“ (NEU3). ანგარიშვალდებულება, რომელიც ეხება ერთობლივ დასკვნებს, არის ძალიან დაბალი. დასკვნები შეიცავს რეკომენდაციებს მთავრობის მუშაობის პრიორიტეტების შესახებ. თუმცა, DAG–ები „წერილობით პასუხს ვერ იღებენ. მომდევნო [ყოველწლიურ] შეხვედრაზე ჩვენ ვისაუბრებთ ამაზე, მაგრამ ეს არ იქნება ფორმალური განცხადება ჩვენი დასკვნების შესრულების შესახებ“ (EU6).

პოლიტიკაში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობას რომ მივუბრუნდეთ, რესპონდენტები აღიარებენ, რომ ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფის მუშაობამ ხელი შეუწყო შრომის კოდექსის რეფორმების გატარებას. ამასთან, ისინი ხაზს უსვამენ იმას, რომ რეფორმები არ შეიძლება მიეწეროს მხოლოდ DAG–ს, რადგან საჭირო იყო სხვადასხვა არხი. ქართველ რესპონდენტთა თქმით, საჭირო იყო საერთაშორისო ზეწოლა, რადგან „საქართველოს მთავრობა უფრო მეტ პასუხისმგებლობას გრძნობს თავისი ევროპული პარტნიორის წინაშე, ვიდრე ეროვნული ორგანიზაციების წინაშე. ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფები წარმოადგენენ ძალიან კარგ საშუალებას მთავრობის მიერ ცვლილებების განხორციელების ხელშეწყობაში.“ (NEU5)

პოლიტიკის გავლენა: აქვთ თუ არა მათ გავლენა?

წინა ნაწილში ნათლად აღინიშნა, რომ ადგილობრივმა საკონსულტაციო ჯგუფებმა გარკვეული გავლენა მოახდინეს პოლიტიკაზე.

ევროკომისია, როგორც „ვაჭრობის გენერალური დირექტორატში“ (DG Trade) ისე „დასაქმების, სოციალურ საკითხთა და ინკლუზიის გენერალურ დირექტორატში“ (DG EMPL), უსმენდა ევროკავშირის ადგილობრივმა საკონსულტაციო ჯგუფებს, განსაკუთრებით კი შრომის წარმომადგენლების რეკომენდაციებს. ამასთან, ქართულ DAG–ს სჭირდება ევროკავშირის DAG-ებთან კონტაქტების გამოყენება იმისთვის, რომ ჰქონდეს წვდომა საქართველოს მთავრობაზე. როგორც ითქვა, DAG–ები მონაწილეობას არ იღებდნენ გადაწყვეტილების მიღებაში და მათ არ აქვთ პირდაპირი გავლენა მთავრობის გადაწყვეტილებებზე.

დასკვნა

ევროკავშირის და საქართველოს ადგილობრივმა საკონსულტაციო ჯგუფებთან დაკავშირებით, ადგილი აქვს გარკვეულ პარადოქსს, იმ კუთხით რომ, მათ შორის დიდი აქტიურობის ან კოორდინაციის გარეშე, მათმა არსებობამ ხელი შეუწყო რიგი შრომითი საკითხების დღის წესრიგში შეტანას. უფრო მეტიც, მათ ასევე შეძლეს წვლილი შეეტანათ ამ სფეროს პოლიტიკის შეცვლაში. ქართულმა სამოქალაქო საზოგადოებამ გამოიყენა ეს მექანიზმები ძირითადად, როგორც არხები საქართველოს მთავრობამდე მისასვლელად, რადგან ეს უკანასკნელი უფრო მეტ რეაგირებას ახდენს საერთაშორისო ზეწოლაზე, ვიდრე ეროვნულ მოთხოვნებზე.

ცხრილები და სურათები

3 ცხრილი 1
„ინკლუზიურობის კიბის“ შეჯამება

5 ცხრილი 2
რეკომენდაციების შეჯამება

15 ცხრილი 3
ძირითადი სამოქალაქო მექანიზმები ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობებში

2 სურათი 1
ინკლუზიურობის კიბე

3 სურათი 2
ევროკომისიას/ადგილობრივ მთავრობასა და DAG-ს შორის საკმარისი ურთიერთკავშირია

4 სურათი 3
DAG-ების გავლენით გამოწვეული კმაყოფილება

ავტორთა შესახებ

დოქტორმა დებორა მარტენსმა დოქტორის ხარისხი პოლიტიკურ მეცნიერებათა და სოფლის განვითარების დარგში გენტის უნივერსიტეტში 2019 წელს მიიღო. ის იკვლევდა ევროკავშირის სავაჭრო შეთანხმებების პოტენციალს, მესამე ქვეყნებში შრომითი პირობების გასაუმჯობესებლად. მისი ნამუშევრები სამართლიანი ვაჭრობის შესახებ ფართო დებატების განუყოფელი ნაწილია.

პროფესორი დოქტორი იან ორბი არის პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი და გენტის უნივერსიტეტის ევროკავშირის კვლევების ცენტრის წევრი. იგი იკვლევს ევროკავშირისა და საერთაშორისო პოლიტიკას, კერძოდ კი, ევროკავშირის საგარეო ვაჭრობისა და განვითარების პოლიტიკას.

დიანა პოტიომკინა არის Vrije Universiteit Brussel-ის, გენტის უნივერსიტეტისა და გაეროს უნივერსიტეტ - CRIS-ის მეცნიერებათა დოქტორი და მკვლევარი. იგი მუშაობს GREMLIN პროექტზე, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ევროკავშირის საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ფარგლებში მრავალმხრივი მექანიზმების შექმნას.

იმპრესარიუმი

ფრიდრიხ ებერტის ფონდი | გლობალური პოლიტიკა და განვითარება
ჰიროსიმას ქ. 28 / 10785 ბერლინი | გერმანია

პასუხისმგებელი პირი:
ალექსანდერ გაიგერი | ფრიდრიხ ებერტის ფონდი | გლობალური პოლიტიკა და განვითარება | სავაჭრო პოლიტიკა

ტელ: +49-30-269-35-7509
www.fes.de/GPol

პუბლიკაციის შესაკვეთად დაგვიკავშირდით:
Christiane.Heun@fes.de

დაუშვებელია ფონდის მიერ გამოცემული მასალების ფონდის წერილობითი თანხმობის გარეშე კომერციული მიზნით გამოყენება

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს ფრიდრიხ ებერტის ფონდის პოზიციას.

ISBN 978-3-96250-925-5

ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფები (DAGs) ევროკავშირის სავაჭრო შეთანხმებებში

ადგილზე დგომა თუ აღმასვლა?

მას შემდეგ, რაც 2011 წელს ევროკავშირსა და კორეას შორის გაფორმდა სავაჭრო შეთანხმება, ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების (TSD) შესახებ არსებული ყველა თავი შესაბამისი ვალდებულებების მონიტორინგისთვის აყალიბებს სამოქალაქო საზოგადოების მექანიზმებს: თითოეული მხარის ადგილობრივ საკონსულტაციო ჯგუფს (DAG) და ტრანსნაციონალური სამოქალაქო საზოგადოების ყოველწლიურ შეხვედრას.

ჯგუფებზე, რომლებიც წარმოადგენენ სამოქალაქო საზოგადოების მუდმივ, ყველაზე ინსტიტუციონალიზებულ ორგანოებს ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების (TSD) თავების მიხედვით. კვლევის მიზანია ჩაატაროს ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების ყოვლისმომცველი შეფასება, გამოავლინოს მათი ძირითადი გამოწვევები, განასხვაოს საწყისი პრობლემები სტრუქტურული საკითხებისგან და დასახოს მათი გადაჭრის გზები. თავდაპირველი მონაცემების შეგროვება განხორციელდა გამოკითხვის შედეგად, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფის წევრებმა. ასევე ჩატარდა ინტერვიუები ევროკავშირისა და არა-ევროკავშირის ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების (DAGs) წევრებთან.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების (DAGs) უმეტესობა შეიქმნა ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების (TSD) შესახებ არსებული თავების რეგულაციების შესაბამისად, დღემდე მათ მცირე პოლიტიკური აქტუალობა მოიპოვეს. ამას უამრავი მიზეზი აქვს, დაწყებული საორგანიზაციო საკითხებით, როგორიცაა შეხვედრების სიხშირე და დროული შეტყობინება მათ შესახებ, დამთავრებული სამდივნოს მხარდაჭერითა და დაფინანსებით. უფრო არსებით დონეზე, ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების წევრები აკრიტიკებენ იმ ფაქტს, რომ არ არის ნამდვილი დიალოგი ამ ჯგუფების შორის, ისევე, როგორც ჯგუფებს, მთავრობებსა და ევროკომისიას შორის. ეს ქმნის ანგარიშვალდებულების ნაკლებობას. გარდა იმისა, რომ ხდება ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფებისა (DAGs) და მათი მუშაობის უგულებელყოფა, DAG-ების წევრები მიიჩნევენ, რომ მათი მცირე პოლიტიკური გავლენა გამოწვეულია საჭირო ინსტრუმენტების არარსებობით: DAG-ებისთვის დღემდე არ არსებობს ინსტრუმენტები დავის მოგვარების მექანიზმის დასაწყებად.

იმისათვის, რომ უკეთ იქნეს გამოყენებული ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების (DAGs) ცოდნა და მათ მიეცეთ საშუალება, შეასრულონ მონიტორინგის როლი, საჭიროა ცვლილებების განხორციელება სხვადასხვა დონეზე, კერძოდ: რეგულარული შეხვედრების ჩატარება; საკმარისი რესურსის უზრუნველყოფა სამდივნოს მონაწილეობისა და მხარდაჭერისთვის; DAG-ების დამოუკიდებელი და წარმომადგენლობითი წევრობის ხელშეწყობა; სამუშაო პროგრამების ნათლად ჩამოყალიბება; ინვესტირება ჯგუფების შორის არსებულ ურთიერთობებში; ერთობლივი განცხადებების შემუშავების პროცესის გაუმჯობესება; DAG-ებსა და მთავრობებს შორის მეტი ურთიერთქმედების დამყარება; DAG-ებსა და ადგილობრივ პარლამენტებს შორის ურთიერთობების ინსტიტუციონალიზაცია; სტრუქტურული რესურსების გამოყოფა კვლევის ჩასატარებლად; მთავრობებთან და ევროკომისიასთან უკუკავშირის განვითარება და ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების (TSD) შესახებ არსებული თავების მაქსიმალური აღსრულება.

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ:
www.fes.de/themenportal-die-welt-gerecht-gestalten/weltwirtschaft-und-unternehmensverantwortung

FRIEDRICH EBERT STIFTUNG